გუგული ზარნაძე

# პრივატიზაცია და სამეწარმეო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
მაისი, 2012 წელი

საავტორო უფლება © 2012 გუგული ზარნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გუგული ზარნაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: ”პრივატიზაცია და სამეწარმეო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქარველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “სატრასპორტო და მანქანათმშენებლობის” სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

9.03.2012

ხელმძღვანელი: სრ. პროფესორი გ. ტყეშელაშვილი

რეცენზენტი: სრ. პროფესორი ვ. კაკაბაძე

რეცენზენტი: ას. პროფესორი გ. ამყოლაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2012

ავტორი: გუგული ზარნაძე

დასახელება: პრივატიზაცია და სამეწარმეო აქტივობის ზრდის პრობლემები საქართველოში

ფაკულტეტი : სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

# რეზიუმე

***გუგული ზარნაძის*** დისერტაცია “პრივატიზაცია და სამეწარმეო აქტივების ზრდის პრობლემები საქართველოში” ეხება აქტუალურ პრობლემას. ნაშრომი შედგება 143 გვერდისგან და დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციის მიხედვით მოიცავს: ტიტულის გვერდს, ხელმოწერების გვერდს, საავტორო უფლებების გვერდს, რეზიუმეს ორ ენაზე (ქართულ-ინგლისური), შინაარსს (სარჩევს), ცხრილების და ნახაზების ნუსხას. ძირითადი ტექსტი შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

***შესავალში*** განხილულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ობიექტი, საგანი და თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი, ნაშრონის მეცნიერული სიახლე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამჟამად ეკონომიკური მეცნიერება ეძებს ახალ მიმართულებებს, რომელთა გამოყენებითაც შედარებით სრულად აისახება ცვლილებები საზოგადოებაში, ტექნოლოგიებში, წარმოების სტრუქტურასა და მოხმარებაში. ცხადია ისიც, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე სულ უფრო მეტად მოქმედებენ გლობალური პრობლემები და პროცესები და ბუნებრივია, ეკონომიკა არაეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. რის გამოც, ტრადიციული ეკონომეტრიკის გამოყენება ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას, მოდელის აგებას და ამოხსნას, ფუნქციის პარამეტრების შეფასებას და პროგნოზს ეკონომეტრიკული პოლიტიკის შესახებ.

ამ მეტად მრავალასპექტრიანი პრობლემის კვლევის ობიექტურმა აუცილებლობამ და მიზანშეწონილობამ განაპირობა თემის აქტუალობა.

ნაშრომის ძირითადი ***მიზანია*** პრივატიზაცია საქართველოში და სამეწარმეო აქტივობის ზრდის და საინვესტიციო გარემოს პრობლემების შესწავლა.

კვლევის შედეგად ჩამოვაყალიბეთ ***მეცნიერული სიახლეები:***

1. განსაზღვრულია და დასაბუთებულია პრივატიზაციის კრიტე-რიუმების და ეფექტიანობის მახასიათებლები:

- პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები;
- პრივატიზებულ საწარმოთა გამოშვებული პროდუქციის მოცუ-ლობის ზრდა;
- პრივატიზებულ საწარმოთა რენტაბელობა.

2. დასაბუთებულია პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში საინვესტიციო და საგადასახადო სისტემის როლი. პრივატიზაციის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამიკოდებულია:

- ქვეყნის საგადასახადო სისტემაზე;
- ქვეყნის საბაზრო ინფრასტრუქტურაზე (მოწესრიგებული ბაზრები, ბირჟები);
- სამეურნეო სამართლიანობის უზრუნველყოფაზე.

3. ჩატარებული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედი შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა;
- უცხოური ინვესტიციების მოცულობა;
- დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება;
- დასაქმებულთა რაოდენობა;
- მშპ დეფლატორი;
- ინფლაცია.

**დისერტაციის** *პირველი თავი* „პრივატიზაციის თეორიული საფუძვლები" ***მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს***: ქართველი და უცხოელი მეცნიერები პრივატიზაციის პროცესის შესახებ; პრივატიზაციის კრიტერიუმები; პრივატიზაციის ეფექტიანობის მახასიათებლები.

საქართველოში და საზღვარგარეთ მიმდინარე პრივატიზაციის პროცესების თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია ეკონომიკური პროცესის გააქტიურების და სრულყოფის წინადადები. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და "საბჭოურიდან"თანამედროვე საბაზრო მოდელზე გადაყვანისათვის, ერთ-ერთ უმთავრეს ქმედებად მიჩნეულია გეგმაზომიერი, შეწონილი პრივატიზაციის განხორციელება. ეს კი ნიშნავს იმ ქონების განსახელმწიფოებრიობას – კერძო მესაკუთრისათვის გადაცემას, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ითვლებოდა საერთო საზოგადოებრივ საკუთრებად. პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი მიმდინარეობა გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის გამართულობას, ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, წარმოებებისა და მომსახურე ობიექტების ამუშავებას, სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, არსებული სოციალური პრობლემების რამდენადმე მოგვარებას, მთლიანობაში კი სახელმწიფოებრივობის განმტკიცების შესაძლებლობას იძლევა.

დისერტაციის მეორე თავი „პრივატიზაციის პროცესი საქართ-ველოში." მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: პრივატიზაციის საკანონმდებლო უზრუნველყოფა; პრივატიზაციის სტატისტიკა და მისი ანალიზი; პრივატიზაცია და სამეწარმეო აქტივობის ზრდის შესაძლებლობა;

საინვესტიციო და საგადასახადო სისტემა პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში.

პრივატიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანესი მოვლენაა. პრივატიზების პროცესი რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით.

სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვის გარეშე. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და გამარტივება მიგვაჩნია. მართალია, ბოლო წლების განმავლობაში გამარტივდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, თუმცა მომავალშიც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ზრდა და საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება.

დისერტაციის *მესამე თავი* "პრივატიზებულ საწარმოთა აქტოვობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამაღლების მიმართულებები" მოიცავს შემდეგ პარაგრაფებს: პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის განზოგადოებული მაჩვენებლები და კრიტერიუმები; სამეწარმეო აქტოვობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გავლენის განსაზღვრა; პრივატიზაციასა და სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია.

წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს და ძნელია მისი ერთი რომელიმე ინტეგრირებული მაჩვენებლით განსაზღვრა. ამიტომ, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის, როგორც მრავალმხრივი მოქმედების კომპლექსური კატეგორიის და მისი საბოლოოდ სასარგებლო შედეგის დეტალური ანალიზისათვის მხოლოდ მაჩვენებელთა ისეთი სისტემით უნდა ვისარგებლოთ როგორიცაა: შრომის ნაყოფიერება, წლიური ეკონომიკური ეფექტი, თვითღირებულება, მოგება, რენტაბელობა, წმინდა მოგება და ა.შ. საქართველოში მეცნიერულ დონეზე არ არის დამუშავებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა. ეკონომიკური ეფექტიანობის საანგარიშოდ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მაჩვენებელს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთთან არ არის შეჯერებული;

ჩვენს მიერ შესწავლილია ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორე-ბი რომლებიც მოქმედებენ სამეწარმეო აქტივობაზე:

- აღწერილობითი სტატისტიკის საფუძველზე გამოვლინდა სტანდარ-ტული გადახრის მაჩვენებლის დაბალი წილი, რაც ჩვენს მიერ

შესწავლილი ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტანდარტულ გადახრაზე მიგვანიშნებს.

- ბრუნვას, ფიქსირებულ აქტივებს, გამოშვებულ პროდუქციას ახასიათებს ზრდის ტენდენცია. მშპ-ს მიმდინარე ფასებში ახასიათებს ზრდის ტენდენცია 2008 წლამდე 2008-2009 წელს კი მცირდება, რაც უკავშირდება აგვისტოს საომარი მოქმედებებს და შემდგომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენას.

- მშპ-ს რეალურ ზრდას, მშპ-ს დეფლატორს, ინფლაციას, ეკონომიკური ზრდას ახასიათებს პიკი 2007 წელს, 2008 წლიდან ახასიათებს მნიშვნელოვანი კლება, ხოლო 2009 წლიდან ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მატულობს. უმუშევრობა იზრდება 2007 წლიდან, ხოლო 2010 წლიდან მცირდება, მცირდება ეკონომიკურ სუბიექტთა ეფექტიანობა, საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება.

- საგარეო სავაჭრო ბრუნვას, საქონლის რეგისტრირებულ იმპორტს და ექსპორტს ახასიათებს ზრდა 2008 წლამდე, 2009 წლამდე კლებულობს და 2010 წლისთვის ისევ იზრდება. ინვესტიციები იზრდება 2007 წლამდე 2007-2009 წლებსი კლებულობს ხოლო 2010 წლისთვის ისევ იზრდება. ფაქტორს ნაერთი პრივატიზაციიდან ბიუჯეტში ახასიათებს ზრდის ტენდენცია.

- მთლიანი ეროვნული შემოსავალი და რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების ზრდა ზრდის მშპ-ს მიმდინარე ფასებში, ხოლო გადასახადები კი ამცირებს.

- ეკონომიკურ ზრდა იწვევს მშპ-ს რეალური ზრდას ხოლო დეფლატორი ამცირებს მშპს ზრდას.

- ფიქსირებული აქტივების ზრდა ამცირებს ეკონომიკურ სუბიექტთა ეფექტიანობას.

ბოლოს მოცემულია **დასკვნები** და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

ჩვენს მიერ შემუშავებული სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია, ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში

კვლევის შედეგად შემუშავებული მეცნიერული დასკვნების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას.

# Abstract

The thesis work authored by Guguli Zarnadze "Privatization and the problems concerning the growth of entrepreneurship assets in Georgia" is in connection with an actual problem. The dissertation essay consists of 143 pages and according the prerequisites for obtaining Doctoral Degree consists of: Titled page, signatures page, copy rights' page, resume in two languages (Georgian-English), content (table of contents), also time-table and draft schedules. The main text consists of an introduction, three chapters, conclusion and the list of applied literature.

In the introduction is discussed the actuality of the topic, the research purpose, sum, the research object, article and theoretical-methodological basis, the novelty of the scientific research and its practical meaning.

At present, economical learning is seeking new tendencies, by which, using those new tendencies, the alternations would reflect completely in the society, in technologies, in the entrepreneurship structure and in the consumption. Evidently, the separate countries economical development is in close connection to the global problems and processes, and it is clear that economy is experiencing the influence of non-economical factors. Through, the use of traditional econometrics foresees the collection of data, building the pattern and solving, the estimation of functional parameters and the prediction of econometrical policy.

Due to the inevitability of the multispectral problem research and the expediency conditioned the actuality of the topic. The main purpose of the scientific work is privatization process in Georgia, the growth of entrepreneurship assets and the study of problems of the investment environment. The research results showed the following scientific novelties:

- The determination of privatization criterias and the materials for effectiveness.
- Display of the problems connecting with the privatization and the growth of enterpreneurship assets.
- The determination role of investment and tax systems of the growth of assets of the privatized enterprises.
- The formation of generalized criterias and indexes of privatized industrial activities.
- The classification of factores connecting with the privatization and industrial activity.

The first chapter of the dissertation topic "the theoretical basis of the privatization" consists of the follwing paragraphs: Georgian and foreign scientists regarding the process of the privatization; criterias for privatization, the indexes for the effectiveness of the privatization.

According to the theoretical basis and generalized practice of an ongoing processes of privatization in Georgian and abroad, in the dissertation essay is formed recommendations for the activeness and improvements of economical processes. For the development of Georgian economy and to transfer it from "Soviet" into a contemporary market based economy, one of the important action is believed to be the implementation of systematic privatization. This means to transfer property from a

state ownership system into a private ownership, that for ages thought to be common public property. The effective course of the privatization process determines country's economic course, helps to bring local and foreign investments, puts in motion productions, increases and creates vacancies for jobs, and overall, it strenghtens the state system.

The second chapter of the dissertation essay "the process of privatization in Georgia" consists of the following paragraphes: legal maintenance for the privatization process; the statistics of privatization and its analysis; privatization and the possibility of the growth of enterprenurship assets; investment and tax systems as an indicator of the development of the privatized enterprises.

Privatization is one of the important phenomenon for the growth of the economy of Georgia. The process of privatization is regulated by a different normative acts.

Rapid economic development is impossible without bringing investiments into the country. One of the preferred direction for bringing a foreign investments into the country is considered to be the future simplificatation and improvement of tax and customs legislature. It is the truth that in recent years, tax and customs legislature became more simplified, decreased the tax rates, and all this helped to bring foreign investments into the country that played a huge role for the development of economy. Taking into consideration the above mentioned, annually, the volume of tax income increases. Although, it is important in future, to refine the legislature, increase the work effectiveness of the customs and tax authorities and systematically inform taxpayers about the planned reforms in the tax policy.

The third chapter of the dissertation essay "the factors connected to an activeness of the privatized enterprises and their growth directions" consists of the following paragraphes: generalized indexes and criterias for the activiness of privatized enterprises; factors that are connected to enternreunership activeness and determination of its influence; the classification of factors connected to a privatization and the production growth.

Many factors are influencing the effectiveness of the production economy and it stays hard to name only one concrete integrated index that determines it. That is why, for the effectiveness of the production economy, as a multylateral operation complex category and finally, to obtain the desired result we have to use the system of indexes such as: productivity of labour, annual economic effect, cost price, gain, profitability, net gain and etc..

In Georgia, we do not have complete scientific research about the methods determining economic effectiveness. For the calculation of economic effectiveness, various scientists offer us different indexes, that are not confluenced to each other.

We did a study about main macroeconomical factors that affects the activity of production:

- Based on descriptive statistical analysis, displayed the low portion of standard deviation factor that all the studies we have conducted, signifies the standard deviation for all the macro economical indexes.
- Circulation, fixed assets, and issued production has a tendency of growth. Whole domestic income according to ongoing costs has a tendency of growth till

2008, and in 2008-2009 it is decreasing, this is stipulated by a war with Russia and global financial crises.

- The real growth of whole domestic income, deflator for the whole domestic income, inflation, and economic growth reached its superior growth in 2007, and starting from 2008 it is considerable decreasing; from 2009, this index is considerably increasing. Unemployment rate is increasing from 2007, and is decreasing from 2010, the effectiveness of economic subjects is decreasing, and tax freight maintains almost the same index.

- The circulation of foreign trade, registered goods import and export increased till 2008, and starting from 2009 were decreasing and in 2010 still was increasing. Investments were increasing till 2007, but from 2007-2009 were decreased, where it started to increase in 2010. The index for the joint privatization in the budget has a growing tendency.

- Whole national income and registered economic subjects increase whole domestic product in current costs, where taxes are decreases.

- Economic development causes the real growth for the whole domestic product, where deflator decreases the growth of whole domestic product.

- The growth of fixed assets decreases the effectiveness of the economic subjects.

- At last, it is shown conclusions and the list of used literature.

- The classification of the factors that influence the activness of enterprises we draw out , would enable country to develop the prefered fields and in this way obtain competitive advatage in an international labor distribution. The practical implementation of scientific findings based on the research we conducted, would assist the growth of country’s economical prosperity.

# შინაარსი

შესავალი ........................................................................................................ 17

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1.1. ქართველი და უცხოელი მეცნიერები პრივატიზაციის პროცესის შესახებ......................................................................................................24

1.1.2.პრივატიზაციის კრიტერიუმები............................................................. 37

1.1.3. პრივატიზაციის ეფექტიანობის მახასიათებლები..................................43

2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. პრივატიზაციის პროცესი საქართველოში -------------------------------- 48

2.1.1. პრივატიზაციის საკანონმდებლო უზრუნველყოფა...............................48

2.1.2. საინვესტიციო სისტემა პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში.................................................................................... 56

2.1.3. საგადასახადო სისტემა პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში.........................................................................................................71

2.2. პრივატიზებულ საწარმოთა აქტოვობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამაღლების მიმართულებები ----------------------------------------------- 81

2.2.1. პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის განზოგადოებული მაჩვენებლები და კრიტერიუმები.........................................................................81

2.2.2. პრივატიზაციასა და სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია.............................................................................................100

დასკვნა ......................................................................................................... 134

გამოყენებული ლიტერატურა ........................................................................ 138

# ცხრილების ნუსხა

**ცხრილი №1** საქართველოში პრივატიზაციის დინამიკა ----------------- 45

**ცხრილი №2** პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ერთეული)--------------------------------------- 45

**ცხრილი №3** პრივატიზებული ობიექტების განაწილება პრივატიზების ფორმების მიხედვით (ერთეული)---------------------- 46

**ცხრილი №4** ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2010 წლის მიხედვით -------------------------------- 65

**ცხრილი №5** პირდაპირ უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით ----------------------------- 67

**ცხრილი №6** საგადასახადო და საბაჟო ორგანოებიდან მიღებული შემოსავლები ------------------------------------------------------ 77

**ცხრილი №7** ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები ---------- 78

**ცხრილი №8** მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით ------------------------------------------------------------- 88

**ცხრილი №9** დასაქმულები საწარმოთა ზომის მიხედვით ------------- 89

**ცხრილი №10** დასაქმებულები საკუთრების ფორმის მიხედვით-------- 90

**ცხრილი №11** დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით -------------------------------------------------- 91

**ცხრილი№12** მცირე საწარმოთა საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში ------------------------------------------------------ 92

**ცხრილი №13** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები ------------------ 93

**ცხრილი №14** მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა (წინა წლის შესაბამისი პერიოდი =100პროცენტი) --------------------- 94

**ცხრილი №15** ნაერთი ბიუჯეტი (2005-2010, მლნ. ლარი) --------------- 97

**ცხრილი №16** საქართველოს საგარეო ვაჭრობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები 2003-2010 წლებში(მლნ აშშ დოლარი) --- 98

**ცხრილი №17** გაცვლითი კურსები ----------------------------------------- 100

**ცხრილი №18** სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედიფაქტორები-------- 100

**ცხრილი №19** სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა სტატისტიკური ანალიზი ---------------------------------------- 103

**ცხრილი №20** სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა კორელაციური მატრიცა ---------------------------------------------------------- 113

**ცხრილი №21** რეგრესიის კოეფიციენტი(პროგნოზირებადი ნიშანი გამო-
შვებული პროდუქცია) ---------------------------------------- 126

**ცხრილი №22** რეგრესიის კოეფიციენტები (პროგნოზირებადი ნიშანი
დასაქმებულთა რაოდენობა) ----------------------------------- 127

**ცხრილი №23** მრავლობითი რეგრესიის კოეფიციენტი (პროგნოზირებადი
ნიშანი დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება --- 128

**ცხრილი №24** რეგრესიის კოეფიციენტი – (პროგნოზირებადი ნიშანი
მშპ დეფლატორი ---------------------------------------------- 129

**ცხრილი №25** რეგრესიის კოეფიციენტი (პროგნოზირებადი ნიშანინვეს-
ტიციები ---------------------------------------------------- 130

**ცხრილი №26** რეგრესიის კოეფიციენტი – (პროგნოზირებადი ნიშანი
ინფლაციის მაჩვენებელი ----------------------------------------- 131

**ცხრილი №27** მრავლობითი რეგრესიის კოეფიციენტები (პროგნოზირებადი
ნიშანი ინფლაციის მაჩვენებელი, დასაქმებულთა რაოდენობა,
გამოშვებული პროდუქცია, ინვესტიციები, დასაქმებულთა
საშუალო თვიური ანაზღაურება, მშპ დეფლატორი) ------- 132

# ნახაზების ნუსხა

**ნახ. №1** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების დინა-მიკა ------------------------------------------------------------------------- 64

**ნახ. №2** ინვესტიციებისაწარმოთა ზომის და საკუთრების ფორმის მიხედვით ------------------------------------------------------- 66

**ნახ. №3** პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინფორმაციის წყარო--ების მიხედვით--------------------------------------------------------- 69

**ნახ. №4** პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში ------- 70

**ნახ. №5** საგადასახადო ტვირთის განაწილების დინამიკა ------------ 78

**ნახ. №6** რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა -- 88

**ნახ. №7** მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით (1) ------------------------------------------------------------- 105

**ნახ. №8** მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით (2) ------------------------------------------------------- 106

**ნახ. №9** მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით(3) ------------------------------------------------------- 107

**ნახ. №10** მშპ მიმდინარე ფასებში და გამოშვებულიპროდუქციის ურთიერთდამოკიდებულება ------------------------------------------ 126

**ნახ. №11** რეგრესიის მრუდი (გამოშვებული პროდუქცია) ------------- 126

**ნახ. №12** მშპ მიმდინარე ფასებში და დასაქმებულთა რაოდენობის ურთიერთდამოკიდებულება ---------------------------------------- 127

**ნახ. №13** რეგრესიის მრუდი (დასაქმებულთა რაოდენობა) ----------- 127

**ნახ. №14** მშპ მიმდინარე ფასებში და დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების ურთიერთდამოკიდებულებ ------- 128

**ნახ. №15** რეგრესიის მრუდი (დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება)------------------------------------------------------- 128

**ნახ. №16** მშპ მიმდინარე ფასებში და მშპ დეფლატორი ურთიერთ-დამოკიდებულება ------------------------------------------------------ 129

**ნახ. №17** რეგრესიის მრუდი (მშპ დეფლატორი) --------------------------- 129

**ნახ. №18** მშპ მიმდინარე ფასებში ინვესტიციების ურთიერთ დამო-კიდებულება ------------------------------------------------------------------ 130

**ნახ. №19** რეგრესიის მრუდი (ინვესტიციები) -------------------------------- 130

**ნახ. №20** მშპ მიმდინარე ფასებში და ინფლაციის მაჩვენებლის ურთიერთ და მოკიდებულება --------------------------------------- 131

**ნახ. №21** რეგრესიის მრუდი (ინფლაციის მაჩვენებელი) ---------------- 131

**ნახ. №22** მრავლობითი რეგრესიის მრუდი (ინფლაციის მაჩვენე ბე-
ლი,დასაქმებულთა რაოდენობა გამოშვებული პროდუქცია,
ინვესტიციები, დასაქმებულთა საშუალო თვიური ანა ზ-
ღაურება, მშპ დეფლატორი) -------------------------------------------- 132

# მადლიერება

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გამიწიეს სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის დეკანმა, სრ. პროფესორმა ოთარ გელაშვილმა, მეცნიერ-ხელმძღვანელმა, სრ. პროფესორმა გოდერძი ტყეშელაშვილმა, რომელთა განსაკუთრებული დახმარებითა და რჩევით შესაძლებელი გახდა დისერტაციის შესრულება, რისთვისაც მათ მიმართ დიდ მადლიერებას გამოვხატავ.

მადლიერება მინდა გამოვხატო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ.

# შესავალი

**კვლევის აქტუალობა:** გარდამავალი ეკონომიკის მრავალ პრობლე-მათა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანია პრივა-ტიზაციის პრობლემა.

პრივატიზება წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის საშუალებას. მისი სწორად წარმართვა დადებით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

პრივატიზაციის აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: სახელმწიფო საწარმოების შედარებით დაბალი ეფექტიანობითა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით; კერძო საკუთრების დამკვიდრების მოთხოვ-ნით; საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების აუცილებლობით, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა.

პრივატიზაცია ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას, კონკურენციის გაძლიერებას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას. პრივატიზაციის ერთ-ერთ უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი ქმნის კონკურენტულ გარემოს, რაც უზრუნველყოფს წარმოების ზრდას და სახელმწიფო სტრუქტურების მონოპოლისტური გავლენისაგან ბაზრის დაცვას.

საინვესტიციო აქტივობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რომელზედაც დამოკიდე-ბულია ეკონომიკაში ზრდის ტემპები. საბაზრო ეკონომიკის განვითა-რების პირობებში მეტად აქტუალური და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების განვითარება. ინვესტიციური საქმიანობა არის ინვესტიციების დაბანდება და პრაქტიკული ქმედებების განხორციელება მოგების მიღების ან სხვაგვარი სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი. სწორედ, პრივატიზაციის პროცესის მეშვეობით შესაძლებელია, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის განვითარების საფუძველზე მოზიდული უცხოური კაპიტალის საშუალებით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და, აქედან გამომდინარე, ასამოქმედებელი საწარმოებისათვის ხარჯების ეკონომიის გაწევა.

ინვესტირების დაფინანსების წყაროების მოძიება, მათი მოზიდვა და ეფექტიანად გამოყენება, ამ სფეროში წარმოქმნილი მწვავე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის უმთავრეს პრიორიტეტად გვესახება.

ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა სულ უფრო მეტად ღებულობს მეწარმეობის სახეს და აქვს ბიზნესის ყველა ნიშანი. ყველაფერი ეს წამოჭრის საინვესტიციო პროცესების მართვის ახალი მეთოდების ძიების აუცილებლობას. გარდამავალ ეკონომიკაში ინვესტიციის სამეწარმეო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების მრავალასპექტიანი პრობლემა მეტ ყურადღებას მოითხოვს.

წარმოების ეფექტიანობა რთული ეკონომიკური კატეგორიაა, რომელშიც ასახულია ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედება, საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი და შედეგიანობა. „წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა“ „წარმოების ეფექტიანობის ქვესისიტემაა“, იგი გვიჩვენებს საზოგადოებრივი წარმოების ურთიერთობებს, რომელიც მწარმოებლებს შორის აღმოცენდება და შრომის ნაკლები დანახარჯებით მეტი ეკონომიკური შედეგების მირწევას განაპირობებს.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა საკმაოდ რთული და საკამათო პრობლემაა. მისი მეცნიერული არსის გარკვევა დაკავშირებულია ისეთ კატეგორიებთან როგორიცაა თვით წარმოება, მისი ეფექტი, ამ ეფექტის მიღწევის განმსაზღვრელი ფაქტორი და ა.შ.

წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს და ძნელია მისი ერთი რომელიმე ინტეგრირებული

მაჩვენებლით განსაზღვრა. ამიტომ, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის, როგორც მრავალმხრივი მოქმედების კომპლექსური კატეგორიის და მისი საბოლოოდ სასარგებლო შედეგის დეტალური ანალიზისათვის მხოლოდ მაჩვენებელთა ისეთი სისტემით უნდა ვისარგებლოთ როგორიცაა: შრომის ნაყოფიერება, წლიური ეკონომიკური ეფექტი, თვითღირებულება, მოგება, რენტაბელობა, წმინდა მოგება და ა.შ.

პრობლემის სიღრმისეული შესწავლის მიზნით აუცილებელია სოციალური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური, მიკრო და მაკრო ეკონომიკური, რესურსული და რიგი სხვა ფაქტორების შესწავლა და მაჩვენებელთა გარკვეული სისტემის ჩამოყალიბება.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა მრავალმხრივი კლასიფიკაცია, ნატურალური, ფულადი, საშუალებას გვაძლევს დეტალურად გავაანალიზოთ საწარმოო პოტენციალის მატერიალური, შრომითი, ფინანსური სახსრების დაბანდება – გამოყენების დონე და მასზე მოქმედი ფაქტორები.

საქართველოში მეცნიერულ დონეზე არ არის დამუშავებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთიანი მეთოდიკა. ეკონომიკური ეფექტიანობის საანგარიშოდ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მაჩვენებელს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთთან არ არის შეჯერებული.

ამჟამად ეკონომიკური მეცნიერება ეძებს ახალ მიმართულებებს, რომელთა გამოყენებითაც შედარებით სრულად აისახება ცვლილებები საზოგადოებაში, ტექნოლოგიებში, წარმოების სტრუქტურასა და მოხმარებაში. ცხადია ისიც, რომ ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე სულ უფრო მეტად მოქმედებენ გლობალური პრობლემები და პროცესები და ბუნებრივია, ეკონომიკა არაეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. რის გამოც, ტრადიციული ეკონომეტრიკის გამოყენება ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას, მოდელის აგებას და ამოხსნას, ფუნქციის პარამეტრების შეფასებას და პროგნოზს ეკონომეტრიკული

პოლიტიკის შესახებ. მაგრამ ცნობილია, რომ ეკონომიკაში თითქმის არ არსებობს ეკონომიკური მოდელი, რომელიც ნებისმიერ პირობებში სამართლიანი იქნება. საუკეთესო შემთხვევასთან გვაქვს სამე, როდესაც მოდელი ლოკალურ პირობებშია სამართლიანი და მოდელი შეესაბამება ამოცანაში დასმულ მიზანს.

ეკონომიკური ეფექტიანობის თეორია მუდმივად ვითარდება და თანდათან კომპლექსურობას და სისტემურობას იძენს. ამის მიუხედავად დღესაც ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალი პრობლემა, გადაუჭრელია.

ამ მეტად მრავალასპექტრიანი პრობლემის კვლევის ობიექტურმა აუცილებლობამ და მიზანშეწონილობამ განაპირობა თემის აქტუალობა.

**მიზანი:** პრივატიზაცია საქართველოში და სამეწარმეო აქტივობის ზრდის და საინვესტიციო გარემოს პრობლემების შესწავლა.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ანალიზისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გათვალისწი-ებით ნაშრომში დასახულია შემდეგი **ამოცანები**:

1. პრივატიზაციის თეორიული საფუძვლების არსის განხილვა, პრივატიზაციის პროცესის შესახებ ქართველი და უცხოელი მეცნიერე-ბის გამოცდილების შესწავლა და განზოგადება;
2. პრივატიზაციის კრიტერიუმების და ეფექტიანობის მახასიათებ-ლემის განსაზღვრა;
3. პრივატიზაციის საკანონმდებლო- ნორმატიული ბაზის შექმნისა და სრულყოფის პროცესის დახასიათება;
4. პრივატიზაციის და სამეწარმეო აქტივობის ზრდის პრობლემების შესწავლა;
5. პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში საინვესტიციო და საგადასახადო სისტემის როლის განსაზღვრა;
6. პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის განზოგადოებული მაჩვენებლების და კრიტერიუმების შესწავლა;

7. პრივატიზაციასა და სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია.

სადისერტაციო ნაშრომის **თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვე-ლია** ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა ადგილობრივი და უცხოელი ავტო-რების სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები. ნაშრომში გამოყენე-ბული საინფორმაციო მასალა ეყრდნობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო ბაზას, რომელიც მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, სტატისტიკური მონაცემები, მიდგომები და მეთოდოლოგია.

**კვლევის საგანი**: კვლევის საგანს წარმოადგენს ქვეყანაში სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საკითხებზე შექმნილი საკანონმდებლო ბაზა. “კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” ეკონომიკის განვითარების სამინისტ-როსა და ქონების მართვის სააგენტოში არსებული მონაცემები; საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მასალები; პრივატი-ზების პროცესის დაწყებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული პრეზიდენტისა და მთავრობის ბრძანებულებები; საკანონმდებლო აქტები და გადაწყვეტილებები. კვლევის ობიექტია აგრეთვე პრივატიზების პროცესითან დაკავშირებული სტატისტიკის დეპარტამენტისა და ქონების მართვის სააგენტოს სტატისტიკური და ანგარიშებითი მონაცემები.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:**

1. განსაზღვრულია და დასაბუთებულია პრივატიზაციის კრიტე-რიუმების და ეფექტიანობის მახასიათებლები, ასეთად მივიღეთ პრივატი-ზაციამდე და მის შემდგომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა,

პრივატიზებულ საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეების ათვისება და მისი ზრდა, პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, პრივატიზებულ საწარმოთა გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა, პრივატიზებულ საწარმოთა რენტაბელობა.

2. დასაბუთებულია პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში საინვესტიციო და საგადასახადო სისტემის როლი. პრივატი-ზაციის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამიკოდებულია:

- ქვეყნის საგადასახადო სისტემაზე.
- ქვეყნის საბაზრო ინფრასტრუქტურაზე (მოწესრიგებული ბაზრები, ბირჟები).
- სამეურნეო სამართლიანობის უზრუნველყოფაზე.

3. ჩატარებული რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინ-და სამეწარმეო აქტივობაზე მოქმედი შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა.
- უცხოური ინვესტიციების მოცულობა.
- დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება.
- დასაქმებულთა რაოდენობა.
- მშპ დეფლატორი.
- ინფლაცია.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:** კვლევის შედეგების გამოყენება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ქონების მართვის სააგენტოს პრაქტიკულ საქმიანობაში, აგრეთვე პარლამენტსა და მთავრობაში საკუთრების განსახელმწიფოებრივობის და პრივატიზების შესახებ მისაღები კანონპროექტების შემუშავების დროს. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული დებულებებით და დასკვნებით ასევე შეიძლება ისარგებლონ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სპეციალური სალექციო კურსების სწავლების პროცესში. სამეწარმეო განათლება დიდ დახმარებას გაუწევს სწავლის მსურველთ. იგი უფრო მიმზიდველი,

თანამედროვეობის შესაბამისი და ეფექტური იქნება. ასევე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი წინადადება გარკვეულ დახმარებას გაუწევს აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერ ინსტანციებში დასაქმებულ მუშაკებს.

**ნაშრომის აპრობაცია:** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები გამოქვეყნებულია სამეცნიერო სტატიების სახით რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში.

აგრეთვე იგი მოხსენდა შემდეგ კონფერენციებზე:

- სტუ-ს 77-ე და 78-ე კონფერენციებს;
- „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო“, კონფერენცია სტუ-ს, საქართველოს ეკონომიკური საზოგადოების და ჯურნალ „სოციალური ეკონომიკის“ მიერ ორგანიზებული 2011 წელს;
- „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე“კონფერენცია პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტში 2011 წელს.

**დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა:** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 143 გვერდს და შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

# 1. ლიტერატურის მიმოხილვა

## 1.1.1. ქართველი და უცხოელი მეცნიერები პრივატიზაციის პროცესის შესახებ.

პრივატიზაცია გულისხმობს სახელმწიფო ქონების (შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სხვა მატერიალური და არამატე-რიალური აქტივები) გაყიდვა გასხვისებას. ეს პირველ რიგში. ნიშნავს იმას, რომ გაყიდვიდან მიღებული თანხები მიემართება ბიუჯეტში, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო შემოსავლებისა და შესაბამისად, ბიუჯეტის გაზრდას, ანუ ხდება ფისკალური ეფექტის ამაღლება. პრივატიზაციის შედეგად მყიდველი, გარდა იმისა, რომ იხდის შესაბამის თანხას ბიუჯეტში, ასევე საკუთრებაში გადაცემულ ქონებაში ახორციელებს ინვესტიციებს. შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და მათში დაბანდებული ინვესტიციები ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობენ მწარმოებლურობის ამაღლებას, რის საფუძველზეც ვითარდება ეროვნული მეურნეობა და იქმნება ახალ-ახალი ადგილები. შესაბამისად იზრდება დასაქმების დონე. გარდა ამისა მწარმოებლურობის გადიდება იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გადიდებასაც. ყოველივე ეს კი ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. აქვე აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის დროს საქმე გვაქვს დადებით ფისკალურ ეფექტთან არა მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც გადასახადების სახით, რომლებსაც ამოქმედებული საწარმო გადაიხდის ბიუჯეტში [1].

პრივატიზაცია ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას, კონკურენციის გაძლიერებას და სხვა, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას. პრივატიზაციის ერთ-ერთ უპირატესობად ითვლება ის, რომ იგი ქმნის კონკურენტულ გარემოს, რაც

უზრუნველყოფს წარმოების ზრდას და სახელმწიფო სტრუქტურების მონოპოლისტური გავლენისაგან ბაზრის დაცვას.

არსებობს პრივატიზაციის ვიწრო და ფართო გაგება. ვიწრო პრივატიზაციის დროს სახელმწიფო საწარმოთა მართვის მოდელი იჯარის, არენდისა თუ ხელშეკრულების საფუძველზე ქონებრივი უფლების გაუცხოების გარეშე, სახელმწიო საკუთრებაში არსებული სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ჩამოყალიბებით ხდება, ანუ საწარმოს მესაკუთრედ კვლავ სახელმწიფო რჩება, ფართო პრივატიზაცია კი სისტემური ხასიათისაა და ამ დროს მხოლოდ სახელმწიფო აქტივების, საწარმოების გაყიდვა კი არ ხდება, არამედ ახალი ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუციური სტრუქტურებიც ყალიბდება. ამის გარეშე კერძო საკუთრების, როგორც ინსტიტუტის ინსტიტუტის ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია [2]. არსებობს ე.წ. ორგანული პრივატიზაცია, რომელიც კერძო სექტორის ქაოტურ განვითარებას იწვევს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის უფრო ტრანსფორმაციული პრივატიზაციაა დამახასიათებელი, თუმცა მსგავსი პრივატიზაცია მე-20 საუკუნის 50-60 იან წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთშიც განხორციელდა.

1992-1996 წლებში საქართველოში ძირითადად მასობრივი პრივატიზაცია განხორციელდა და კერძო სექტორის წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 50%-ს გადააჭარბა, ანუ საბაზრო ინსტიტუტებისა და ურთიერთობების დამკვიდრების თვალსაზრისით თვისობრივი ძვრები მოხდა.ამის შემდეგ 1997 წლიდან კი ე.წ. დიდი პრივატიზაციის ეტაპი დაიწყო, რომელიც დღესაც გრძელდება [3].

კერძო სექტორის ჩამოყალიბების ორი გზა არსებობს: პირველი, როცა ქვეყანაში მეწარმეობის ლიბერალური რეჟიმი, საბაზრო ინფრასტრუქტურა, სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა არსებობს და ამ დროს კერძო საწარმოებს თვოთონ კერძო მესაკუთრეები ქმნიან. კერძო სექტორის ჩამოყალიბების მეორე გზა კი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციაა და

თუკი ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, კერძო სექტორის ჩამოყალიბებაც ხანგრძილივდება, რაც ეკონომიკური და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას უშლის ხელს.

აღსანიშნავია ასევე, რომ არსებობს პრივატიზაციის ტრადიციული და არატრადიციული, ექვივალენტური და არა ექვივალენტური მეთოდები.

ტრადიციული მეთოდები განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და ამ დროს სახელმწიფო საწარმოების აქტივების კერძო სექტორზე ნაწილობრივ ან მთლიანად გაყიდვა ხორციელდება. არატრადიციული პრივატიზაცია კი სახელმწიფო საწარმოების მასობრიც გაყიდვას, უფასო ან კვაზიუფასო პრივატიზაციის სხვადასხვა ფორმას გულისხმობს [4]. ტრადიციული პრივატიზაციისთვის დამახასიათებელია ნელი ტემპი, ამიტომ არ აღინიშნება წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება, შესაბამისად, სახელმწიფო სექტორი დიდი ხნის განმავლობაში გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებს ეკონომიკაში და არაეფექტიანი სახელმწიფოს პირობებში ასეთი ვითარება ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად გამოდის. ამიტომ ტრანსფორმაციული პრივატიზაციისას, როდესაც საჭიროა კერძო სექტორის სწრაფი განვითარება. როგორც წესი, არატრადიციული, ანუ სახელმწიფოს მიერ მართვადი მასშტაბური პრივატიზაციის მეთოდები გამოიყენება.

სახელმწიფო საწარმოები კერძო ადგილობრივ ინვესტორებზე იყიდება. ასეთი პრივატიზაცია პრიორიტეტული იყო უნგრეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში. პრივატიზაციის ასეთი მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ბიუჯეტი, ყალიბდება რეალურ მესაკუთრეთა ფენა, თუმცა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ადგილობრივ ინვესტორებს პრივატიზაციის მოთხოვნების შესასრულებლად საკმარისი კაპიტალი არ აღმოაჩნდათ, უცხოური კაპიტალის შემოსვლა კი მცირე მასშტაბით ხდებოდა.

ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში თავდაპირველად გაბატონებული იყო შეხედულება, რომ პრივატიზაცია 2-3 წელიწადში

განხორციელდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მცდარი მოსაზრება იყო და ყველა ქვეყანაში პრივატიზაცია “მართვადი ფორმით” გატარდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში კი თავის დროზე პრივატიზაციის კომბინირებული მეთოდები იყო გამოყენებული. ამასთან, შედარებით უფრო სწრაფად და ეფექტურად განხორციელდა მცირე პრივატიზაცია-ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მომსახურების სფეროს საწარმოები ნაღდ ფულზე, მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით გაიყიდა. მყიდველი ვალდებული იყო, ობიექტების სპეციალიზაცია მინიმუმ, 2 წლით მაინც შეენარჩუნებინა. ამ პირობის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო მაღალი ჯარიმა. ამასთან, მყიდველს 2 წლის განმავლობაში ობიექტის უცხოეთის მოქალაქეზე გაყიდვა არ შეეძლო. მასოიბრივი და სოციალურად ყველაზე უფრო სამართლიანი პრივატიზაციის ჩეხური მოდელია მიჩნეული, სადაც ე.წ. საკუპონე პრივატიზაცია 1991 წელს დაიწყო. ჩეხეთის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ 1035 კრონის, ანუ 40 აშშ დოლარის ღირებულების საკუპონე წიგნაკები მიიღო, რომელიც თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარებოდა. ამ კუპონის მფლობელებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, სპეციალური საინვესტიციო ფონდების მეშვეობით საწარმოთა აქციები 7000 კრონამდე შეეძინათ. ასეთმა პრივატიზაციამ საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენაში საკუთრების ძალიან ფართო გაბნევა უზრუნველყო, შესაძლებელი გახადა ფართო საშუალო კლასის ჩამოყალიბება და დიდი პრივატიზაციის კრიმინალიზაციის თავიდან აცილება, თუმცა ე.წ. ჩეხურ პრივატიზაციას უარყოფითი მხარეც ჰქონდა. კერძოდ მსხვილი საწარმოების უმრავლესობა წარმოების გაჯანსაღებისა და მოდერნიზაციისთვის სახსრების უქონლობის გამო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიტომაც 1994-1996 წლებში ჩეხეთის განვითარება გარკვეულწილად შეფერხდა.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, თავისი ბიუროკრატიისა და ადმინისტრაციული ბარიერების გამო, ჩეხეთმა ყველაზე დიდი

დანაკარგი მიიღო იმის გამო, რომ დროულად არ განთავისუფლდა თავისი არაეფექტური და კორუმპირებული ბანკებისაგან და არ განახორციელა მათი პრივატიზაცია. 1997 წელს ჩეხეთმა კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, როდესაც ზომით მესამე თავის ბანკზე დაკარგა კონტროლი, არ მოახდინა მისი რესტრუქტურიზაცია, დროულად არ გაიტანა გასაყიდათ და არ გადასცა იგი საიმედო ინვესტორს. ამის შედეგად ბანკის ღირებულება დაეცა და 2000 წელს იგი პრაქტიკულად უფასოდ გადაეცა ბელგიურ კბს ბანკს. ჩეხოსლოვაკიისაგან გამოყოფის შემდეგ (1993 წელს), სლოვაკეთში თითქმის არაფერი არ გაკეთებულა ბანკების რესტრუქტურიზაციისათვის. ამის შედეგად ხუთ წელიწადში 6 ბანკი გაკოტრდა და დაიხურა. სლოვაკეთის სამი უმსხვილესი ბანკის რესტრუქტურიზების საერთო ღირებულებამ ასეთი უგერგილობის გამო ქვეყნის მშპ-ის 11% შეადგინა. უცხოელი ექსპერტების შეფასებით სლოვაკეთს რომ ეს ბანკები აუქციონის გზით თავისუფალ გაყიდვაზე გაეტანა ქვეყნის ბიუჯეტი მშპ-ის 5-6%-ს მოიგებდა [5].

ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რგოლი, რომელიც ასევე იყო ჩათრეული და მხარს უჭერდა კლეპტოკრატიას არის საბაკო სისტემა. უნგრეთმა, ზემოაღნიშნული რეგიონის ქვეყნებს შორის, ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება კომპანიებსა და ბანკებს შორის არსებულ "მეგობრულ" ურთიერთობებსა და ღრმა კორუფციას, რის გამოც სასწრაფოდ განახორციელა საბანკო რეფორმა 1992-1994 წლებში, მოახდინა ბანკების რეკაპიტალიზაცია, ხოლო შემდეგ მათი მიყიდვა უცხოური კაპიტალისათვის. ამ ღონისძიებით უნგრეთმა მოახერხა თავი აერიდებინა უდიდესი მასშტაბის კორუფციისათვის. ამის შემდეგ, უკვე 1994 წელს ბაიერიშ ლენდესბანკმა (გერმანია) და ევროპის განვითარების ბანკმა (ეგბ) შეისყიდეს უნგრეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის აქციები, შესაბამისად 25 და 17%. 1996 წელს ეგბ-მ და ახლა უკვე ჯენერალ ელექტრიკ კეპიტალზმა (აშშ) შეისყიდეს ბუდაპეშტ ბანკი, ხოლო აბნ ამპო-მ

(დანია) და ინგ-მ (დანია) შესაბამისად შეისყიდეს უნგრეთის საკრედიტო ბანკი და დუნაბანკი. თუმცა, პირველი და წარმატებული პრივატიზაცია უცხოური საბანკო კაპიტალის მოზიდვით ჯერ კიდევ 1989 წელს განხორციელდა, როდესაც რზბ-მ (ავსტრია) შეისყიდა ელექტრონათურების მწარმოებელი უნგრული კომპანია ტუნგსრამი, რითაც გზა გაუხსნა ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

პოლონეთში, მე-20 საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში დიდი პრივატიზაციისთვის განკუთვნილი 8 ათასი საწარმოდან 1150 კერძო ინვესტორებზე გაიყიდა და ამ უკანასკნელთა უმრავლესობა უცხოელი იყო, დანარჩენი დაახლოებით 5 ათასი საწარმო კი საპრივატიზაციო სააგენტოს გადაეცა. საწარმოებს სახელმწიფო დახმარების გარეშე, კომერციული ბანკებიდან აღებული კრედიტებით უნდა მიეღწიათ რენტაბელობისთვის და მომზადებულიყვნენ შემდგომი პრივატიზაციისათვის. 1850 საწარმო ერთბაშად გაკოტრებულად გამოცხადდა და დაიხურა. 1995 წლის აგვისტოდან პოლონეთში საწარმოების აქციები მოქალაქეებზე სპეციალურად შექმნილი საინვესტიციო ფონდების მეშვეობით ეტაპობრივად ფულით ან საპრივატიზაციო სერთიფიკატებით იყიდებოდა, რომელთა ღირებულებაც 20 ზლოტს, ანუ 3 აშშ დოლარს არ აღემატებოდა. სერთიფიკატები ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაცვლილიყო აქციაზე. ეს აქციები 27 მილიონამდე პოლონელმა შეიძინა. უმუშევრობის მკვეთრი ზრდის გამო პოლონური პრივატიზაცია მოსახლეობისთვის მკაცრი იყო. მიუხედავად ამისა, პრივატიზაციას კაპიტალის რეალური დაგროვების ზრდა ახლდა, რამაც საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კრიზისის შედარებით ხანმოკლე პერიოდში დაძლევა და ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა განაპირობა. დღეს პოლონეთის საბანკო სექტორის დაახლოებით 70% უკვე უცხოელების ხელშია და მათი ბანკები სწრაფად ვითარდებიან ფინანსური მომსახურების დასავლური სტანდარტებისაკენ [6].

აღმოსავლეთ ევროპაში პრივატიზაციას საწარმოებისა და ბანკების გაჯანსაღების პროცესი უსწრებდა და პრივატიზაციაც ინტენსიურად, ანუ პაუზების გარეშე ხორციელდებოდა. რუსეთული პრივატიზაცია კი ხანგრძლივი შესვენებებით ხასიათდებოდა. პირველ ეტაპზე, ანუ 1992-1994 წლებში, აუქციონზე და საკონკურსო წესით რუსეთსი მცირე საწარმოთა 70% გაიყიდა. დიდი პრივატიზაცია კი უსასყიდლო ფორმით-საპრივატიზაციო ჩეკებ-ვაუჩერებით ხორციელდებოდა. მოსახლეობის 96%-ს 114 მლნ. ვაუჩერი დაურიგდა 10 ათასი მანეთის ნომინალური ღირებულებით. თითოეული ვაუჩერი 25 მანეთის ეკვივალენტი იყო. 1994 წლის მეორე ნახევრიდან რუსეთში პრივატიზაციის მეორე ეტაპი დაიწყო. უსასყიდლო პრივატიზაცია შეწყდა და საპრივატიზაციო საწარმოების აქციების შეძენა მხოლოდ ფულზე გახდა შესაძლებელი. ეს ეტაპი რუსეთში დღემდე გრძელდება, მაგრამ ნელი ტემპით, რადგან ქვეყანაში კაპიტალის უკმარისობაა და მოსახლეობაც გადახდის უუნაროა. ამასთანავე რუსეთი ინვესტორებისთვისაც არაა მიმზიდველი [7].

დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთის გამოცდილება, რომელიც ევოლუციური პრივატიზებით გამოირჩევა. სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების პირობებში თავდაპირველად აქ ხორციელდებოდა საწარმოების თვითდაფინანსებასა და თვითმართველობაზე გადასვლა. საწარმოებს არ შეეძლოთ წარმოების საშუალებებით, რესურსებით ვაჭრობა, მაგრამ ბოლო პერიოდში გაძლიერდა საკუთრების ახალი, ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება (არა პრივატიზებით, არამედ ინვეტიციების ალტერნატიული წყაროების საფუძველზე, ახალი საწარმოების შექმნით). ჩინეთის რეფორმისათვის დამახასიათებელია აქცენტი არა საკუთრების ფორმების შეცვლასა და ეკონომიკური ძალაუფლების განაწილებაზე, არამედ საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდებაზე, ინვესტიციების გაფართოებაზე. ეს მიზნები რეალიზებულია და რეფორმებმა გამოიწვია არა წარმოების დაცემა, არამედ მისი მაღალი ტემპით ზრდა. ჩინეთის გამოცდილება გარკვეულწილად პასუხობს

რეფორმის ეკონომიკურ კრიტერიუმებს: წარმოების ეფექტიანობის ზრდას, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას.

მსოფლიო პრაქტიკაში მეტად საყურადღებოა პრივატიზაციის ინგლისური გამოცდილება, მისი ერთ-ერთი თავისებურებაა დაბალ რენტაბელური და ზარალიანი ეროვნული კომპანიების განსახელმწიფოებ- რივება. საფრანგეთში პრივატიზაცია განხორციელდა ცენტრალიზებული წესით, ინვესტორის მიერ კონკურენტუნარიანი ფირმების შერჩევის გზით მათ მიეყიდათ აქციების გარკვეული პაკეტი[8]. ღია ბაზართან შედარებით შეღავათიან ფასებში, ამასთან აეკრძალათ იმ აქციების გაყიდვა 3-4 წლის განმავლობაში, რათა მესაკუთრეს მისცემოდა შესყიდული საწარმოს რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობა. მეტად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა პრივატიზაციას ჩილეში. პრივატიზაციის პროგრამა გათვლილი იყო 15 წელზე და შეიცავდა რამდენიმე ეტაპს. ჩილეში 10 წლის განმავლობაში პრივატიზებული იყო საწარმოთა თითქმის 75%. ძირითადად პრივატიზებული იყო დაბალრენტაბელური ზარალიანი საწარმოები. მოსახლეობას აქციების შესაძენად მიეცა შეღავათიანი კრედიტები. საპრივატიზაციო ობიექტების აქციებს ყიდულობდნენ, საწარმოთა ყოფილი მუშაკები საპენსიო ფონდების ანგარიშში. ამ ქვეყნებში პრივატიზების გზები და მეთოდები, რომლებიც ასახავს მსოფლიოს განვითარების ტენდენციას, ერთმანეთისაგან მაინც განსხვავებულია, რაც განპირობებულია აქ არსებული კონკრეტული სოციალურ - ეკონომიკური სიტუაციით, ჯერ ერთი, ამ ქვეყნებს არა აქვთ ისტორიული გამოცდილება, მეორეც, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია ღრმა ინსტიტუციონალური ცვლილებები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა წინა პლანზე წამოწიეს პრივატიზების თანდათანობითი გატარების იდეა, გადასახადების გამოყენებითა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ამოცანის გათვალისწინებით. დასავლეთის ქვეყნებში პრივატიზაციის შედეგად შეიქმნა შერჩეული საწარმოები,

რომლებიც თავიანთი ფორმით, შინაარსით და ფუნქციებით ხელს უწყობს საკუთრების ფორმების უპირატესობათა გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვისობრივად სრულად ახალ მოვლენასთან-საკუთრების ფორმების შეთანაწყობით ეფექტიანობის მიღწევასთან. დასავლეთის ქვეყნებში გამოიკვეთა პრივატიზების პროცესში პრიორიტეტების არჩევის პრინციპიც. ამით დაძლეული იქნა საკუთრების ფორმების წინააღმდეგობრივი ხასიათი. ეს ასპექტი ადასტურებს იმას, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ეყრდნობა შერეული საკუთრების პრინციპს, რაც ობიექტური კანონზომიერი პროცესია. პრივატიზაციის პირველი პერიოდი, ე.წ. ვაშინგტონის კონსენსუსი, მოიცავდა სწრაფ და მაშტაბურ პრივატიზაციას, მაგრამ, შესაბამისი არ იყო მისი საშუალებები და მეთოდები. ამიტომაც 1994 წლის მექსიკის ეკონომიკურ კრიზისი, პრივატიზაციის გარშემო მაშტაბურ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება. მთლიანობაში კი, მსოფლიოში ზუსტად ეს პერიოდი პრივეტიზაციის სქემებთან მასიური ექსპერიმენტების ოქროს ხანად ითვლება, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში დახასიათდა როგორც დიდი ნახტომი. ამ პერიოდში განისაზღვრა გარდამავალ ქვეყნებში ტრანსფორმაციისადმი პრინციპიული მიდგომები, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (დსთ-ს გარდა) მთლიანობაში ზრდის ფაზაში შევიდნენ. გამოყოფენ მეორე ქვეპერიოდს, ე.წ. “ტეკილასა” და აზიურ კრიზისთა შორის, იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ტრადიციული პრივატიზაცია, რის (ნაწილობრივი რენაციონალიზაცია და ახალი პრივატიზაცია) შემდეგაც, საჭირო გახდა დრო, რათა ადგილიდან დაეძრათ პრივატიზაციის პროგრამები. აუცილებელი გახდა სახელმწიფო სექტორის საწარმოთა “სიამაყის” გადალახვა და ფართო მაშტაბებით უცხოური ინვესტორების მოზიდვის აუცილებლობის აღიარება. ფაქტიურად 1990 წელს არგენტინასა და ბრაზილიაში დაიწყეს მოქმედება ტრადიციული ტიპის მაშტაბურმა პროგრამებმა. ევროპის ცენტრში კი ყიდდა მთელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის აქტივებს. 1992 წლისათვის 12000

საწარმოდან 4600 გაიყიდა, 1600 დაიხურა, 1000 კი ძველ მესაკუთრეებს დაუბრუნდა. ამგვარი საგარეო ფონი და საერთაშორისო გამოცდილება რეფორმატორებს კომპანიათა საცალოდ გაყიდვის საკმაოდ მკვეთრ მიმართულებას აძლევდა, და ამით არა მარტო მართვისა და საკუთრების უფლებათა, არამედ საბიუჯეტო და სხვა დავალიანების პრობლემათა გადაჭრის იმედს ტოვებდა. 1989-91 წლებში ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პრივატიზაციის მოთხოვნა განიხილებოდა როგორც თეორიული პრო-ბლემა, მისი როლი აღიარებული იყო, მაგრამ მისი საშუალებები და ხერხები კი ნათელი არ იყო. პრივატიზაციის არგენტინულმა პროგრამამ, რომლის რეალიზება დაიწყო 1990-დან 1997 წლამდე, სახელმწიფოს 21 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის შემოსავალი მოიტანა, მათ შორის 10.7 მლრდ. ფულადი სახსრების სახით, 3.5 მლრდ. სავალო ვალდებულებების სახით (საბაზრო კურსით) და 6.8 მლრდ. კი დაფარული ობლიგაციების სახით. მოგების ძირითადი ნაწილი მიღებულ იქნა ნავთობის და ნავთობგადა-მამუშავებელი კომპანიების, ბუნებრივი აირისა და ელექტრომონოპოლიების, ტელეკომუნიკაციებისა და საჰაერო ტრანსპორტის სისტემის პრივატიზაციისაგან. შემოსავალი პრივატიზაციისაგან მეტწილად ხმარდებოდა პრივატიზირებული კომპანიების დავალიანების დაფარვას და მათი სავალო ვალდებულებების შემცირებას [9].

პოსტსაბჭოთა საქართველოში პრივატიზაცია ტრადიციული სქემებისაგან განსხვავებით განხორციელდა. სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის სირთულეს განაპირობებდა ისიც, რომ უნდა შეცვლილიყო ქონების არა მარტო კონკრეტული მესაკუთრე, არამედ თვით პოლიტიკური წყობაც, შესაბამისი საკუთრებითი ურთიერთო-ბებით.

საქართველოში პრივატიზაციის პირველი ეტაპი უაღრესად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში განხორციელდა: საწარმოთა განსახელწიფოებრიობა, მათი სამეურნეო მნიშვნელობისა და ღირებულების

მიუხედავად, ძირეულ სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პარალელურად მიმდინარეობდა, რასაც სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ინსტიტუციონალური კრიზისი ახლდა [10].

ამ დროს ეკონომიკის აქტივობა ძირითადად სავაჭრო-საშუამავლო და საფინანსო-საკრედიტო მიმართულებაზე იყო ორიენტირებული. 1991-1996 წლებში ჩვენთან სოციალურდ უმნიშვნელოვანესი სფეროს – საბინაო მეურნეობის პრივატიზაცია განხორციელდა. მასობრივი პრივატიზაციის მიმდინარეობისას უდიდესი როლი შეასრულა საპრივატიზაციო ბარათების სისტემის გამოყენებამ. სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის პრივატიზაცია სწორედ საპრივატიზაციო ბარათებით, ანუ ვაუჩერებით გახდა შესაძლებელი. ამასთან, შრომით კოლექტივებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ თავიანთი საწარმოს მომავალი მესაკუთრე, ან მესაკუთრეთა ჯგუფი, რომელსაც მიეცა უფლება, პირდაპირი შესყიდვის წესით შეეძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი კონკურენციის გარეშე, ან თუ საკონტროლო პაკეტი დროებით რჩებოდა სახელმწიფოს ხელში, საწესდებო კაპიტალის 10% -მდე ოდენობით. ამასთან, საფასურის 30%-ის დაფარვა ხდებოდა საპრივატიზაციო ბარათებით, ფულით კი-30%-ის ფასდაკლებით და განვადებით ვაუჩერების პერიოდის დამთავრებამდე, ანუ 1996 წლის 1-ივლისამდე გადახდის პირობით. ეს მექანიზმი 600-მდე საწარმომ გამოიყენა. აქედან 100-მდე საწარმოს აქციათა პაკეტები სრულად იქნა გამოსყიდული. შედეგად მხოლოდ პირდაპირი წესით აქციათა პაკეტების შესყიდვის გზით მსხვილი მესაკუთრე 64 ათასზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირი გახდა, მათ საკუთრებაში გადავიდა 50 მლნ.დოლარზე მეტი ნომინალური ღირებულების 40 მილიონამდე აქცია. აქციების გაცემის შედეგად 200 ათასზე მეტმა ადამიანმა 16 მილიონ დოლარამდე ნომინალური ღირებულების 11.5 მილიონამდე აქცია მიიღო,მათ შორის 11 მლნ.აშშ დოლარის ღირებულების 8 მილიონამდე აქცია-უფასოდ.

პრივატიზაციის ამ გზას თავისი ნაკლი აქვს, რადგან იგი განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს არამატერიალური წარმოების

სფეროში დასაქმებულ ადამიანებს-პენსიონერებს, სამხედრო მოსამსახურეებს, სტუდენტებს და სხვა, ასევე არასწორ ქონებრივ დიფერენციაციას იწვევს. მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური დაცვისა და მასობრივი პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის მიზნით პრივატიზებული სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი საქართველოს მოსახლეობას უფასოდ, საპრივატიზაციო ბარათების ანუ ვაუჩერების სახით გადაეცა. აღნიშნული კამპანია 1995 წლის მარტში დაიწყო. ქვეყნის მოსახლეობა, იმჟამინდელი მონაცემებით, 5 098 736 ადამიანს შეადგენდა. დარიგებულ იქნა 4 264 541 საპრივატიზაციო ბარათი (83, 64%), რომელთაგან დასაქონლებული იყო 3 910 000, ანუ დარიგებულის 92%. ტენდერებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი ინვესტორები - სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე გამოტანილი ქონების 20% სწორედ მათ შეიძინეს. მათ შორის იყვნენ ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ჰოლანდიელი, შვეიცარიელი, რუსი და სხვა ინვესტორები. 1997 წლის 30 მაისს, სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ახალი კანონის მიღებით და ქვეყანაში განხორციელებული ტრანსფორმაციული ცვლილე-ბების შედეგად პრივატიზაციის პროცესი მეორე ეტაპზე გადავიდა. დღის წესრიგში დადგა მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის დაჩქარება, უცხოური ინვესტიციებისთვის მაქსიმალურად ხელშეწყობის პრობლემა, საბიუჯეტო შემოსავლების გადიდების აუცილებლობა, პოსტპრივატი-ზაციულ პერიოდში საწარმოებისა და მეწარმეთა ფენის ხელშეწყობის უზრუნველყოფა. ამ ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა კი პირველ რიგში, პრივატიზაციის ინსტიტუციური, სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფას მოითხოვდა. რაც მეტადაა სრულყოფილი ეკონომიკური გარემო და მაღალია კონკურენტუნარიანობა, მით მეტია საწარმოთა მიმართებაში ინვესტორთა ნდობა და მაღალია მათი საპრივატიზაციო ღირებულება. საპრივატიზაციო საკუთრების მაღალი ფასი დამოკიდე-ბულია არა მარტო მიმდინარე მაკროეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის ისტორიასა და სტაბილურობაზე. ხოლო, გარდამავალი ეკონომიკის

მქონე ქვეყნებისადმი ნდობის თანდათანობითი მატება ზრდის მათ საინვესტიციო მიმზიდველობას [11].

პრივატიზება წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის საშუალებას. მისი სწორად წარმართვა დადებით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის საფუძველი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის განვითარების პირობებში ჩაეყარა. მისი კვლევის ცენტრში იყო ქვეყნის ეკონომიკური სიმდიდრის, ეკონომიკური ზრდის, ღირებულებების თორიისა და საბაზრო კონკურენციის და პროდუქტის განაწილების პრობლემები. ეკონომიკური ეფექტიანობის მეცნიერული თეორიის განვითარებას დასაბამი მისცა მხოლოდ ადამ სმიტმა. სმიტმა ფაქტობრივად განსაზღვრა რესურსების ეფექტიანი გამოყენების პირველი პირობა, რომელიც ბუნებრივ წესრიგში მდგომარეობს.

შემდეგში დ. რიკარდო ცდილობდა გაერკვია წარმოების და განაწილების ის საზოგადოებრივი პირობები, რომლებიც ყველაზე უფრო ოპტიმალურად უწყობდა ხელს საზოგადოების მატერიალური სიმდიდირის ზრდას. რიკარდო თვლიდა, რომ მატერიალურ სიმდიდრეს გამოხატავს არა მთლიანი, არამედ წმინდა პროდუქტი, რომლიც წარმობის გაფართოების კვალობაზე დიდდება, ეკონომიკური ეფექტიანობის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენლებმა (XX საუკუნის 30-იანი წლები) - ჯ. კლარკის. ჯ. გელბრეიტის, ფ. პერუს, უ. ტოფლერის, ჯ. სტიგლიცისა და სხვ. ამ თეორიის მიმდევრებმა წინ წამოსწიეს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდაზე წარმოების ტექნოლოგიური განვითარების, წარმოების ორგანიზაციის და მენეჯმენტის ზეგავლენა, დაასაბუთეს ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტიანობაზე არაეკონომიკური (გარდა ეკონომიკურისა) ფაქტორების ზემოქმედება [12]. იგი განიხილავს ეკონომიკური ეფექტიანობის არა

მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ინსტიტუციონალურ-სოციალურ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ და სხვა ფაქტორებს და კვლევის ცენტრში აყენებს ეკონომიკური ეფექტიანობის სისტემური და დინამიკური თეორიის შექმნის საკითხს [13].

## 1.1.2. პრივატიზაციის კრიტერიუმები

პრივატიზების აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, მათ შორის სახელმწიფო საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძო საკუთრების დამკვიდრება და გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ქონების პრივატიზება ეკონომიკის გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა [14].

გარდამავალ ქვეყნებში საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების საკვანძო პრინციპებად მიჩნეულ უნდა იქნეს კომპლექსურობა, ეტაპობრიობა, მრავალფეროვნება, დარგებისა და სუბიექტების სპეციფიკის გათვალისწინება, ამ პროცესის გონივრული სახელმწიფოებრივი რეგულირება.

საზოგადოებრივი მომსახურების პრივატიზაციის ოთხი ძირითადი ფორმა არსებობს, ესენია; დეინვესტიცია _ სახელმწიფო საწარმოს საკუთრების, კონტროლის და ოპერაციული პასუხისმგებლობის გადაცემა პირდაპირი გაყიდვის, აქციებისა ან აქტივების გაყიდვით; კონტრაქტი მართვის უფლებით _ ოპერაციული პასუხისმგებლობის გადაცემა (მხოლოდ მართვის) ლიზინგის საშუალებით საკუთრების უფლების გადაცემის გარეშე და მომსახურების ხარისხის კონტროლის შენარჩუნებით; დევოლუცია _ ისეთი ფუნქციის, ან მოღვაწეობის გადაცემა, რომელსაც მანმადე სახელმწიფო სააგენტო ახორციელებდა (სანიტარული კონტროლი, სხვადასხვა სახის გამოკვლევები, ვალების ამოღება, აუდიტი და სხვა); სუბკონტრაქტები _ საზოგადოებრივი მომსახურების ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ

კერძო კომპანიებისაგან იმ პროდუქციის, ან მომსახურების შესყიდვა, რომლებსაც მანამადე აწარმოებდნენ სახელმწიფო ორგანიზაციები. ამ ფორმების ჩარჩოებში პრივატიზაციის ბევრი მეთოდი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია: საკუთრების რესტიტუცია - ადრე ნაციონალიზებული საწარმოების დაბრუნება ძველი მფლობელებისათვის, ამ მათი მემკვიდრეებისათვის, ან მათთვის ფულადი კომპენსაციის გადახდა; აუქციონი _ სახელმწიფო საკუთრების გაყიდვა აუქციონზე ადგილობრივი, ან უცხოელი მყიდველისათვის; მონოპოლიური ფრანჩაიზინგი _ სახელმწიფოს მიერ გარკვეული მომსახურების გასაწევად მონოპოლური უფლებების გადაცემა; არენდაში გადაცემა სახელმწიფო საწარმოსი მთლიანად, ან ნაწილობრივ; გამოსყიდვა სახელმწიფო საწარმოების მენეჯერთა ჯგუფის, ან მათი თანამშრომლების მიერ; ლიკვიდაცია, ან გაკოტრება _ ხორციელდება ამ საწარმოთა ვალების გასტუმრების მიზნით; კომერციალიზაცია _ საწარმოებისაგან მოითხოვება დაბანდებული საშუალებების უკან დაბრუნება, წყდება მათი სუბსიდირება, ხორციელდება მათი მონოპო-ლური სტატუსის ლიკვიდაცია, სახელმწიფო საწარმოების ოპერაციათა კომერციულსაფუძველზე გადაყვანა. ასეთი ღონისძიებები ხშირად კეთდება კომპანიების გამოჯანსაღებისა და გაყიდვისათვის მათი მომზადების მიზნით; თანამშრომლობა, ან პარტნიორობა კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის მომსახურების გაწევისა და ინფრა-სტრუქტურის განვითარებისათვის (ერთობლივი სახელმწიფო კერძო საწარმოები, ერთობლივი ინვესტირება პროექტებში და სხვა); დელეგირება პასუხისმგებლობისა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების უზრუნველყოფაზე; გარანტიები სახელმწიფოს მხრიდან, ან სტიმულების სისტემა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებით დაკავებული კერძო სექტორისათვის.

ძნელია პრივატიზაციის წარმატების კრიტერიუმები, პრაქტიკული და ნაწილობრივ რაოდენობრივ შეფასებას დაქვემდებარებული ყველა ქვეყნისათვის ერთიანი იყოს. მაგრამ ისეთი კრიტერიუმები როგორც: მასტაბილიზირებელი ზემოქმედება ბიუჯეტზე (შემოსავალი პრივატიზა-ციიდან), პირდაპირი (კერძო) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საფონდო ბირჟაზე კაპიტალიზაცია (პრივატიზაციიდან 5-6 წლის შემდეგ და არა კრიზისულ პერიოდში) და ბოლოს, საკვანძო (მასიური) პრივატიზაციის გატარების შემდეგ მყარი ეკონომიკური ზრდა, ნებისმიერ ქვეყნის პრივატიზაციის პროცესის შემფასებელია. 90-იანი წლების დასაწყისში პრივატიზაციის წარმატების სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებს შორის ხშირად აღნიშნავდნენ აქციათა მესაკუთრეების ფართო ფენის ჩამოყალიბებას, თუმცა, ეს კრიტერიუმი დისკუსიებში ”დაიკარგა” [15].

პრივატიზაციის პროცესის ეფექტიანი მიმდინარეობა გარკვეულწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკის გამართულობას, ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, წარმოებებისა და მომსახურე ობიექტების ამუშავებას, სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდას, არსებული სოციალური პრობლემების რამდენადმე მოგვარებას, მთლიანობაში კი სახელმწიფოებრივობის განმტკიცების შესაძლებლობას იძლევა.

პრივატიზაციის საერთო შეფასება, მისი შედეგების კლასი-ფიკაციას ემყარება - ასეთი კლასიფიკაცია დროითი და კონკრეტული კრიტერიუმების გამოყოფას მოითხოვს. დროითი კრიტერიუმების მიხედვით, გამოიყოფა მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვა-დიანი ეფექტები. კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით, მიზანშეწო-ნილია გამოვყოთ შემდეგი ეფექტები: პოლიტიკური, იდეოლოგიური-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, ინსტიტუციური, ეკოლო-გიური.

რა კრიტერიუმები უნდა გამოიყენოს მთავრობამ პრივატი-ზებისათვის? ბუნებრივია პრივატიზაციის სხვადასხვა მიდგომებსა

დამეთოდებს შორის შეიძლება შერჩეულ იქნეს რამოდენიმე ვარიანტი. მაგრამ ცალკეული მიდგომა ხასიათდება სხვადასხვა პრობლემითა და შერჩეული გზის ეფექტიანობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებებით. კერძოდ, აუცილებელია თუ არა მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა სრული პრივატიზაცია თუ შესაძლებელია შევიზღუდოთ მათი საქმიანობის კომერციალიზაციის ეტაპით? რამდენად სწრაფად უნდა განხორციელდეს პრივატიზაცია? თეორიულად, რაც უფრო სწრაფად დამთავრდება რეფორმები, მით უფრო ეფექტიანი იქნება ეკონომიკის ფუნქციონირება. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ პრივატიზაცია დასრულდეს მოკლე პერიოდში. ბევრი მიიჩნევს, რომ რეფორმის წარმატებით დასრულებისათვის საჭიროა საკმაოდ დიდი დრო. როგორც ირკვევა მათი ამოცანა, ვინც იღებს გადაწყვეტილებას რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით მეტად რთულია[16]. აუცილებელია ამ რთული საკითხების გადაწყვეტისას გარკვეული კრიტერიუმების გამოყენება. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს:

I. სამართლიანობა: როცა მიიღება გადაწყვეტილება ქვეყნის ძირითადი ფონდების გადანაწილების შესახებ, აუცილებელია ყველა მოქალაქის აზრის მხედველობაში მიღება. მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი წილი კაპიტალში. თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ პრივატიზაციის პროგრამა უსამართლოა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ იგი იყოს წარმატებული. მაგრამ სამართლიანობის საკითხი ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. სადისკუსიო საკითხია უნდა ჰქონდეს თუ არა ერთნაირი წილი საზოგადოების ყველა წევრს, თუ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საპრივატიზაციო საწარმოს მუშაკებს, უნდა გამოირიცხოს თუ არა საწარმოს აქტივების განაწილების პროცესიდან საზოგადოების ზოგიერთი წევრი.

II. ეფექტიანობა: საწარმოთა ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სხვა რეფორმების გატარებაც, კერძოდ, საჭიროა ფასების და ვალუტის კურსის ლიბერალიზაცია, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების

დაწესება, შესაბამისი კანონმდებლობის შექმნა, კონკურენტული გარემოს ფორმირება და მმართველების ავტონომია. ზოგჯერ ეფექტიანობის კრიტერიუმი შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს სამართლიანობის კრიტერიუმთან. აუცილებელია საწარმოს მუშაკები მონაწილეობდნენ ახალი კომპანიების სააქციო საკუთრების მართვაში, მაგრამ თუ ამ უკანასკნელს აკონტროლებენ საწარმოს მუშაკები, მისი ეფექტიანობა შეიძლება დაეცეს. ერთ-ერთი მიდგომა, რომელიც განიხილებოდა რუსეთში, ითვალისწინებდა მუშებისათვის პრივილეგირებული აქციების მიცემას, რომელიც ხმის უფლებას არ იძლევა. მეორე წინააღმდეგობა წარმოიქმნება უცხოელების მონაწილეობის შემთხვევაში, რომელიც ზრდის საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ალბათობას. ამ შემთხვევაში, თუ უცხოელები არ დაიშვებიან საწარმოს საკუთრებასთან, ახლად პრივატიზებულმა კომპანიებმა მართვის საკითხებში უნდა გამოიყენონ დასავლეთის კონსულტანტები. საწარმოთა ეფექტიანობა შეიძლება გაუმჯობესდეს მისი აქციების ნაწილის ბანკებზე მიყიდვის ან გადაეცემის გზით. ზემოთ აღნიშნულმა შეიძლება გამოიღოს კარგი შედეგი თუ საბანკო სისტემა საიმედოა, რაც ნაკლებად სარწმუნოა რეფორმის პირველ წლებში. ბანკების მონაწილეობა კომპანიების საკუთრებაში ხელს უწყობს ამ უკანასკნელთა განვითარებისათვის ჯანსაღი გრძელვადიანი პერსპექტივის შექმნას, რაც დემონსტრირებული იყო იაპონიისა და გერმანიის ბანკებსა და კორპორაციებს შორის მჭიდრო ურთიერთობით. სახელმწიფო საკუთრების უფასო, მასობრივი პრივატიზების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სპეციალური მექანიზმები, სხვანაირად საკუთრების დანაწილების გამო იგი არ იქნება ეფექტიანი და ვერ შექმნის საკმარის სტიმულებს საწარმოთ საქმიანობის სრულყოფისათვის.

III. პოტენციალი და პერსპექტივა: მთავრობა უნდა განიხილავდეს საწარმოთა შესაძლებლობებს გრძელვადიანი პერსპექტივის პოზიციებიდან. მაგალითად, თუ კომპანიას აქვს პოტენციალი აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქტი, მაგრამ იგი იმყოფება კრიზისულ

მდგომარეობაში, კაპიტალის „შთანთქმის“, მუშაკებისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბოროტმოქმედებათა გამო უაზრობა იქნებოდა პრივატიზების დაჩქარება და მისთვის ბიძგის მიცემა გაკოტრებისაკენ. ასეთ კომპანიას უეჭველად სჭირდება სტრუქტურული გარდაქმნა და რაღაც პერიოდში შესაძლებელია მისი კომერციალიზაციაც.

IV. პრივატიზაციის ტემპი: რაც უფრო მეტი დროა საჭირო პრივატიზაციის პროგრამის განხორციელებისათვის, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ცალკეულმა დაინტერესებულმა ჯგუფებმა გავლენა იქონიონ პროგრამის შინაარსზე.

V. სიმარტივე: მარტივი პროგრამა უკეთესია. პრივატიზაციის ბევრი პროგრამა ზედმეტად რთულია, მათი გაგება ძნელია. პროგრამის სიმარტივე ავსებს სამართლიანობის და სისწრაფის კრიტერიუმებს. რით შეხვდა საქართველო პრივატიზებას: არაკონკურენტუნარიანი საწარმოებით; უცხოელი ინვესტორების უინტერესობით; დაბალი კვალიფიკაციის საწარმოო პერსონალით; დაბალი კვალიფიკაციის მენეჯერებით; ბიზნესის სფეროში სრული გამოუცდელობით; საწარმოს დამოუკიდებელი მართვის გამოუცდელობით; მენეჯმენტის სრული მოშლით; ნახევრად განადგურებული შენობებით და ა.შ.

დღევანდელ ეტაპზე აუცილებელია:

1. ყოველგვარი ანტისაპრივატიზაციო აგიტაციის შეჩერება, კერძო მეწარმეობის პროპაგანდის გაძლიერება.
2. პრივატიზებული საწარმოების საქმიანობაში ჩაურევლობა.
3. მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.
4. დარჩენილი საპრივატიზებო ობიექტების კანონის დაცვით დროულად პრივატიზება.
5. სახელმწიფო საკუთრებისა და წილების მართვის კონკრეტული მექანიზმების შექმნა.
6. სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბება ეკონომიკაში.
7. ბაზრის განვითარების ხელის შეწყობა.

8. სახელმწიფოს მეურნეობაში ჩარევის შემცირება და შეზღუდვა.

## 1.1.3. პრივატიზაციის ეფექტიანობის მახასიათებლები.

პრივატიზაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია სტაბილური გარემოს შექმნა, როგორც პოლიტიკაში ისევე კანონმდებლობაში. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა თუ რამდენად სტაბილურია ხელისუფლება, რამდენად შეუძლია მთავრობას თავისი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება. სოციალური დაძაბულობა და მღელვარება არღვევს საწარმოო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას და ზღუდავს პროდუქციის გასაღების პროცესს, ყოველივე ეს ქმნის არახელსაყრელ გარემოს ინვესტორისათვის.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში პრივატიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გადიდება და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება, რომელიც გულისხმობს:

- საწარმოთა რესტრუქტურიზაციას;
- მართვის ახალი ფორმების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვასა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას;
- საგარეო ბაზრებზე დამკვიდრებას;
- უცხოური და შიდა ინვესტიციების მოზიდვას [17].

ამჟამად მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა ყველაზე ეფექტიან სისტემად წარმოგვიდგება. მან პრაქტიკულად ცხადყო თავისი მაღალი ეფექტიანობა ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიცაა: წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირის უზრუნველყოფა. დამოუკიდებელი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება. ფასების თავისუფალი ფუნქციონირება. კონკურენციის საყოველთაობა და სხვა, რომელთა საფუძველზე იგი წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების

სტაბილურობის, თანასწორობისა და ეფექტიანობის პრობლემებს. საბაზრო ეკონომიკის კურსს ალტერნატივა არ აქვს. მის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ შევა მსოფლიოს მაღალ განვითარებული სახელმწიფოების რიცხვში. დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის იგი ყველაზე ეფექტიანია.

საკუთრების განსახელმწიფოებრივება მეტწილად გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების გამოყვანას უშუალოდ სახელმწოფოებრივი მართვის სტრუქტურებიდან. მათ გარდაქმნას საკუთების სხვა არასახელმწიფო ფორმებზე დამყარებულ საწარმოებად და ეკონომიკაში ხელოვნური სახელმწიფო მონოპოლიის აღმოფხვრას, ამასთან განსახელმწიფოებრივება არ გამორიცხავს შესაძლებლობას რომ სახელმწიფო საწარმოებმა ახალ თვისებრიობაში განაგრძონ ფუნქციონირება.

ეფექტიანი პრივატიზაციის პროცესის წასამართად, საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ქონების პრივატიზების სხვადასხვა მეთოდებს იყენებს, ასეთებია: ტენდერი, აუქციონი, იჯარა და შესყიდვა, პირდაპირი გაყიდვა, მოდერნიზებული ბიზნეს ლიცენზირების სისტემა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა.

ნებისმიერი ქართველი ან უცხო პირი ან კომპანია უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

იმისათვის, რომ პრივატიზაცია იყოს წარმატებული, აუცილებელია ფასების რეფორმა, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების და კონკურენტული გარემოს ფორმირება, ისეთი კანონების მიღება, რომლებიც წაახალისებენ ეფექტიანად მოქმედ საწარმოებს და კაპიტალის დაგროვებას. წარმატებული პრივატიზაცია მოითხოვს ასევე კაპიტალის შერწყმას, პროფესიონალურ ცოდნას მმართველობის სფეროში, ტექნიკურ გამოცდილებას, ფართო ინფორმაციის ფლობას ბაზრებსა და პროდუქციაზე.

ჩვენ შევისწავლეთ პრივატიზაციის დინამიკა საქართველოში.

ცხრილი 1. საქართველოში პრივატიზაციის დინამიკა [18]

| წლები | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|
| პრივატიზებული ობიექტები (ცალი) | 761 | 267 | 776 | 411 | 595 | 769 |
| პრივატიზაციიდან შემოსავლები (მლნ ლარი) | 23.6 | 72.7 | 419.4 | 561.5 | 573.8 | 697.8 |

**ცხრილი 2. პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით (ერთეული)**

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|
| ქ. თბილისი | 20 | 92 | 30 | 69 | 135 |
| აჭარის არ | 38 | 111 | 27 | 134 | 124 |
| გურია | 3 | 41 | 11 | 13 | 30 |
| იმერეთი | 52 | 137 | 77 | 142 | 172 |
| კახეთი | 39 | 123 | 87 | 78 | 51 |
| მცხეთა-მთიანეთი | 12 | 28 | 19 | 27 | 25 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 4 | 13 | 8 | 7 | 15 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 7 | 83 | 40 | 49 | 91 |
| სამცხე-ჯავახეთი | 28 | 33 | 32 | 34 | 43 |
| ქვემო ქართლი | 44 | 69 | 45 | 9 | 50 |
| შიდა ქართლი | 20 | 46 | 35 | 33 | 33 |
| საქართველო – სულ | 267 | 776 | 411 | 595 | 769 |

როგორც პრივატიზაციის დინამიკა გვიჩვენებს (ცხრილი 1) პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა და შემოსავლები ზრდის ტემპით ხასიათდება. პრივატიზებული ობიექტების ზრდის დინამიკა აღინიშნება (ცხრილი 2) თბილისში, აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელო-სვანეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კლების დინამიკა აღინიშნება კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლში. რაც შეეხება პრივატიზებულ ობიექტთა განაწილებას პრივატიზაციის ფორმების

მიხედვით (ცხრილი 3) ზრდის დინამიკით გამოირჩევა აუქციონი და სხვა ფორმები, ხოლო შემცირებით - კონკურსის ფორმა.

**ცხრილი 3. პრივატიზებული ობიექტების განაწილება პრივატიზების ფორმების მიხედვით (ერთეული)**

| პრივატიზების ფორმა: | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|
| აუქციონი | 213 | 624 | 391 | 592 | 663 |
| კონკურსი | 45 | 129 | 20 | 1 | - |
| სხვა | 9 | 23 | - | 2 | 106 |
| სულ | 267 | 776 | 411 | 595 | 769 |

მართალია პრივატიზაციის შედეგად ქვეყანაში მოხდა სერიოზული სისტემური ცვლილებები, რომელთაგან უნდა დავასახელოთ კერძო სექტორის ჩამოყალიბება, მაგრამ ვერ მივაღწიეთ სერიოზულ ძვრებს პრივატიზაციის სხვა მიზნების განხორციელებაში, მათ შორის: სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების, ბიუჯეტში შემოსავლის სათანადო უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საქართველოში პრივატიზაციის სისტემური და თანმიმდევრული მაღალი ეფექტიანობა საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო ვერ მოხერხდა. სერიოზული საშინაო ფაქტორი იყო პრივატიზაციის სტრატეგიაში დაშვებული შეცდომა, რაც იმით გამოიხატება, რომ ფაქტობრივად გაბატონებული იყო რაოდენობრივი, ქონებრივი მიდგომა პრივატიზაციისადმი და სუსტად იყო გათვალისწინებული მისი თვისობრივი, ანუ სოციალურ -ეკონომიკური მხარე. საშინაო ფაქტორებიდან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში სუსტი სახელმწიფოს არსებობა, რომელმაც ვერ შეძლო წარმატებული პრივატიზაციისთვის აუცილებელი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური გარემოს შექმნა, ფინანსური სტაბილიზაცია, საბიუჯეტო კრიზისის თავიდან აცილება, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, საფონდო ბირჟების ამოქმედება, მეორადი ბაზრის ჩამოყალიბება. საგარეო

ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს არამარტო თავსმოხვეული კონფლიქტები გარედან სეპარატიზმის გაღვივების საფუძველზე, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედება, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყნის ეკონომიკას, არამედ სწრაფი გარდაქმნების ის ტემპი, რომელსაც იძულებული ვიყავით დავთანხმებოდით, მაშინ როდესაც ქვეყანა ამისთვის ინსტიტუციურად, მენტალურად და კვალიფიკაციური კადრების არსებობის თვალსაზრისითაც, მოუმზადებული იყო.

ინვესტიციების განხორციელებამ და ეკონომიკაში მეტი ნაღდი ფულის გაშვებამ გამოიწვია ინფლაცია, ხოლო ახლად პრივატიზებული ორგანიზაციების მომსახურებებზე ხშრად იზრდება ფასები რომელთა შედეგები მძაფრად აისახება ღარიბ მოსახლეობაზე. ამასთანავე გამჭვირვალობის ნაკლებობამ და არასათანადო კომუნიკაციამ პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით წარმოშვა უნდობლობა, რომ პრივატიზებული საწარმოები იმუშავებენ უკეთესად მომავალში, შესთავაზებენ უკეთეს მომსახურებას მომხმარებლებს და დასაქმების შესაძლებლობებს შექმნიან.

# 2. შედეგები და მათი განსჯა

## 2.1. პრივატიზაციის პროცესი საქართველოში.

### 2.1.1. პრივატიზაციის საკანონმდებლო უზრუნველყოფა

პრივატიზაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანესი მოვლენაა. პრივატიზების პროცესი რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით:

• საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების" შესახებ [19].

• საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ[20,21].

• საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება "სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით" პრივატიზების შესახებ დამტკიცების თაობაზე [22] .

• საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება "სახელმწიფო ქონების კონკურსის ფორმით" პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე [23] .

• ქონების მართვის სამინისტრო ბრძანება "სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის "დამტკიცების თაობაზე.

• ქონების მართვის სამინისტრო ბრძანება "სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე [24].

საქართველოს კანონი "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, პრივატიზების განხორციელების ძირითად პირობებს და უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენის პროცესს. აქვე უნდა აღინიშნოს, 13 30.05.1997 №743-IIს 14 30.06.2006 წ. №3424-რს კანონი

“სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ” მიღებულია 1997 წლის 30 მაისს[25]. მიღებიდან დღემდე მასში 33 ცვლილება განხორციელდა, აქედან უმრავლესობა (26) - ვარდების რევოლუციის შემდეგ. პირველი ცვლილება [26], რომელიც კანონში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2004 წელს შევიდა, ერთი შეხედვით არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მნიშვნელოვნებით და ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის მიზნის „რედაქტირებას“. ცვლილებამდე, კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების პირდაპირი წესით გაყიდვის მიზანი იყო „გასაყიდი ქონების თავისებურებიდან გამომდინარე ინვესტიციების მოზიდვა წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე“. ცვლილების შედეგად, კი „პირდაპირი მიყიდვის მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს იმ მყიდველს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას დადგენილ პირობებს“. ანუ, თუკი 2004 წლამდე ქონების ახალი მფლობელის შერჩევა შესაძლებელი იყო წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, ახალმა ხელისუფლებამ აქცენტი მყიდველის კეთილსინდისიერებაზე გააკეთა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც კანონში 2005 წელს შევიდა, შეეხება იმ ქონების ფასს, რომელიც გამოტანილი იყო გასაყიდად, მაგრამ არ გაიყიდა. ცვლილებამდე, კანონის თანხმად, თუკი არ მოხდებოდა ორჯერ გამოტანილი სახელმწიფო ქონების პრივატიზება, მესამედ გამოტანისას ფასი 50%-ით უნდა შემცირებულიყო. ეს წესი ხშირად გამხდარა კრიტიკის საგანი და ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ის მხოლოდ სახელმწიფო ქონების „ჩალის ფასად“ გაყიდვისთვის იყო დაწესებული და პრივატიზების პროცესში კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას ქმნიდა. კანონის ცვლილების მიზანი, სწორედ ამგვარი პრაქტიკის აღმოფხვრა იყო. 2005 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად[27], ქონების საწყისი ფასი შესაძლოა (და არა სავალდებულო) შემცირდეს 50%-მდე პირველივე წარუმატებელი გაყიდვის მცდელობის

შემდეგ, ხოლო თუ ქონება შემცირებულ ფასადაც არ გაიყიდა, „ეს ფასი შეიძლება კიდევ შემცირდეს“ (ამჯერად უკვე ზღვარი არ არის დადგენილი).

იმავე წელს, როგორც ჩანს, საქართველოს მოსახლეობაში ალტრუისტული მისწრაფებების მოჭარბებისა და სახელმწიფოსათვის ქონების „ნებაყოფლობით გადაცემის“ ფაქტების გახშირების გამო, საჭირო გახდა „სახელმწიფო ქონების“ განმარტებაში ცვლილების შეტანა. კანონში არსებულ განმარტებას დაემატა „სახელმწიფო საკუთრებაში ნებაყოფლობით გადაცემული საცხოვრებელი სახლები და ბინები; სახელმწიფო საკუთრებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად გადასული უმკვიდრო ქონება (საცხოვრებელი სახლები და ბინები)“. 2005 წელსვე კანონში შესული მორიგი ცვლილების თანახმად, შესაძლებელი გახდა სასაზღვრო ზონის პრივატიზება. ცვლილებამდე, სასაზღვრო ზონა შედიოდა იმ სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა [28].

მომდევნო, 2006 წელს კანონში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცვლილება შევიდა, რომლის თანახმად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და მის მიერ წინასაწარ განსაზღვრული პირობებით, შესაძლებელი გახდა ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტების და კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების პრივატიზება[29]. ცვლილებამდე, პრივატიზებას დაქვემდებარებულ აღნიშნული სახის ქონებაში გამონაკლისს შეადგენდა რელიგიული და საკულტო ნაგებობები, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის სახელმწიფო არქივები, კინო-, ფოტო- და ფოტოდოკუმენტების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სამინისტროების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების არქივები და ფონდები, სამუზეუმო კოლექციები, ფონდები, ეროვნული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმები. საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორებმა ცვლილების განხორციელების აუცილებლობა შემდეგნაირად ახსნეს: „ვინაიდან სახელმწიფოს არ გააჩნია შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები,

მოუაროს და დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლი, ხოლო მფლობელს (ვინაიდან იგი არ არის მესაკუთრე) არ გააჩნია საკმარისი დაინტერესება და შესაბამისი სახსრები მოუაროს და სათანადოდ დაიცვას მის მფლობელობაში არსებული ძეგლი, ფაქტიურად საქართველოში არსებულ უამრავ ძეგლს დაზიანების, ხოლო ხშირ შემთხვევაში განადგურების საფრთხე შეექმნა. მოგვიანებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობებით შესაძლებელი გახდა, ასევე, არქეოლოგიური დაცვის ზონაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზება. ხოლო იმ ქონების სიას, რომელიც პრივატიზებას არ ექვემდებარება, დაემატა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლები.

2007 წლის 11 მაისს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონში შევიდა ცვლილება[30], რომლის შედეგად გაუქმდა, ორი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა. კერძოდ, ცვლილებამდე, კანონის თანახმად, საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ გადაეცემოდათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტამდე აქციები, მაგრამ არაუმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებოდა იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს; იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში; პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ; და იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები. ასევე, ცვლილების შეტანამდე, კანონი ითვალისწინებდა საწარმოს მყიდველის მიერ, საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში, პრივატიზებული საწარმოს მუშაკებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას,

რომელშიც უნდა შესულიყო შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა 2007 წლის 11 მაისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუქმდა.

მომდევნო, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითი ცვლილება კანონში, წინა ცვლილებიდან ზუსტად ორ თვეში - 2007 წლის 11 ივლისს შევიდა. ცვლილება კანონის რეგულირების საგანს (სფეროს) შეეხო; შედეგად, კანონი ამჟამად არეგულირებს არამარტო სახელმწიფო ქონების, არამედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესსაც. რეგულირების საგნის შეცვლამ კანონის დასახელების შეცვლაც გამოიწვია და ამჟამად კანონის სახელწოდებაა: საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ". ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით, ასევე გაიზარდა იმ სახელმწიფო ქონების ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება პრივატიზებას. შესაძლებელი გახდა ისეთი ქონების გასხვისება, როგორიცაა:განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა; სამობილიზაციო მარაგი, სახელმწიფო რეზერვი, ძვირფასი ლითონების მარაგი; სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა; სახელმწიფო საფოსტო კავშირის, რადიო-სატელევიზიო მაუწყებლობის, საქალაქთაშორისო-საერთაშორისო სატელეფონო კავშირის, სამთავრობო კავშირის საშუალებები; სახელმწიფო სასაფლაოები; სახელმწიფო წყალსადენის და საკანალიზაციო მეურნეობის ერთიანი სისტემა; სასიცოცხლო მნიშვნელობის სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები; სახელმწიფო ორგანოთა ადმინისტრაციული შენობები.კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ ასევე დაავალდებულა საქართველოს მთავრობა, დაემტკიცებინა „განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხა" - ნუსხა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონებისა, რომელიც არ ექვემდებარება

პრივატიზებას, თუმცა არც კანონით და არც რაიმე სხვა აქტით არ ყოფილა დადგენილი თუ როდის და როგორ, რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შერჩეულიყო განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონება. შედეგად, მოთხოვნის ბუნდოვნებისა და კრიტერიუმების არარსებობის გამო, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების ნუსხა, რომელმაც მოიცვა სულ ხუთი ობიექტი:

1. სენაკის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი.
2. მარნეულის აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი.
3. ფოთის ახალი (სამხედრო) ნავსადგური (ნავმისადგომი, ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები, შუქნიშნები, აკვატორია).
4. ფოთის საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვატორია.
5. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის შუქურა, შუქნიშნები და აკვა-ტორია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონის ამჟამად მოქმედი ნორმები, გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან. მაგალითად; კანონის მე-4 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ ქონების ჩამონათვალს, რომლის გასხვისებაც დაუშვებელია, აღარ მოიცავს „სასაზღვრო ზონას“; რაც ნიშნავს იმას, რომ სასაზღვრო ზონის პრივატიზება დაშვებულია. ამავდროულად, საქართველოს კოსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო საზღვრების რეჟიმი და დაცვა. ასევე, კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის დაცვა, კავშირგაბმულობა, საერთო-სახელმწიფოებ-რივი მნიშვნელობის აეროპორტები, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ყველა ჩამოთვლილი ობიექტი, კანონის თანახმად, დღეს შესაძლებელია განკერძოვდეს.

2007 წლის 11 ივლისის ცვლილებით ამოღებულ იქნა პრივატი-ზებული საწარმოების მუშაკთა სოციალურ გარანტიებსა და შეღავათებთან

დაკავშირებული კანონში „შემორჩენილი“ მოთხოვნებიც. ცვლილებამდე, საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ, მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე იკრძალებოდა საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა; ასევე, გათვალისწინებული იყო საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკებისათვის 4308 ერთდჯერადი დახმარების გაწევა. ეს მოთხოვნებიც 2007 წლის 11 ივლისის ცვლილებების შედეგად, გაუქმდა. ამავე საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა სახელმწიფო ქონების პრივატიზების კონკურსისა და იჯარა-გამოსყიდვის ფორმები. პრივატიზების აღნიშნული ფორმების გაუქმების მიზეზი, ცვლილების ინიციატორთა განმარტებით, მათი არაეფექტურობა გახდა.  პრივატიზების იჯარა-გამოსყიდვის ფორმის ეკონომიკური ეფექტურობის სასარგებლოდ, განსაკუთრებით ეკონომიკური კრიზისის პირობებში, შესაძლებელია უამრავი არგუმენტის დასახელება. თუმცა, როდესაც ეფექტურობის შეფასება მოკლევადიან პერსპექტივაში (რომელიც, როგორც წესი, საარჩევნო ვადით განისაზღვრება) ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობით იზომება, პრივატიზების ეს ფორმა, მართლაც ნაკლებად ეფექტურია. რაც შეეხება პრივატიზების კონკურსის ფორმას, ის, ფაქტიურად ჩანაცვლდა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვის წესით, რომელიც კონკურსისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს.

კანონმდებელთა „ეკონომიკური ეფექტურობის“ ზემოაღნიშნულ გაგებასთან ნაკლებად შეთავსებადია კანონში 2009 წელს შესული ცვლილება [31]. ამ ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს. კანონი ამავდროულად

უშვებს გამონაკლისსაც - იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიმართ შესაძლო ზიანის თავიდან აცილებისათვის, ან სასამართლო ან საარბიტრაჟო სამართალწარმოების თავიდან აცილებისათვის, ან/და დასრულებისათვის, საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლება მყიდველს თანხის გადახდის ვადა ხუთი წლის ფარგლებში დაუწესოს. დღეისათვის ბოლო მნიშვნელოვანი ცვლილებით,[32] სახელმწიფო ქონების მყიდველები გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის პერიოდულად წარდგენის ან/და გადაცემული ქონების დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის 2010 წლის 1 აპრილამდე დაკისრებული/დასაკისრებელი სანქციებისაგან. ასევე, სახელმწიფო ქონების მყიდველებს მიეცათ უფლება, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეცვლის/გადახედვის თხოვნით მიმართონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრივატიზებულ საწარმოში დასაქმებულთა (ან/და ობიექტის პრივატიზების შემდგომ გათავისუფლებულთა) უფლებების დაცვის კონტექსტშიც.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთგვარ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება, რომელიც 2010 წლის იანვარში ამოქმედდა და რომელიც სავალდებულოს ხდის საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საწარმოების დამფუძნებელთა მონაცემების მითითებას. სამწუხაროდ, საჯარო რეესტრის მონაცემები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი - ხშირად საჯარო რეესტრში არ არსებობს მონაცემები საწარმოებზე, ან მითითებული საკონტაქტო დეტალები მოძველებულია.

## 2.1.2. საინვესტიციო სისტემა პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში.

საქართველოში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა ხელს უწყობს პრივატიზაციის პროცესის გაფართოებას და ეფექტიანობის ზრდას. ინვესტიციური საქმიანობა არის ინვესტიციების დაბანდება და პრაქტიკული ქმედებების განხორციელება მოგების მიღების ან სხვაგვარი სასარგებლო ეფექტის მიღწევის მიზნით.

არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე, ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს [33].

ინვესტირების აუცილებელი პირობაა მოგების მიღება, საკმარისი პირობა კი _ დადებითი სოციალური ეფექტი, რომელიც ფასდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორებიცაა: დასაქმებულთა რაოდენობა და დასაქმებულთა ზრდის ტემპი. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ ეს არ აისახა მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონეზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინვესტირების სოციალური ეფექტი მოგვიანებით მაინც იჩენს თავს, თუკი საინვესტიციო პროექტების განხორციელებისას სახელმწიფო აქცენტს სოციალურ შედეგებზე გააკეთებს.

საქართველოში ინვესტიციად ითვლება ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც ჩაიდება და გამოიყენება სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობაში მოგების ან სოციალური ეფექტის მიღებისათვის. ასეთ ფასეულობებს ან უფლებებს მიეკუთვნება: ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, უძრავი და მოძრავი ქონება – მიწა, შენობა-ნაგებობა, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა, მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით

სარგებლობის უფლება-კონცესია, პატენტი, და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებად, ანუ ინვესტორებად შეიძლება გამოვიდნენ: ფიზიკური ან იურიდიული პირები, სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციები.

პრივატიზაციის შედეგად შესყიდული ობიექტი, ინვესტორისთვის ანუ მყიდველისთვის მიმზიდველია საინვესტიციო თვალსაზრისით და იგი ვარაუდობს პრივატიზებულ ობიექტში ქონებრივი თუ ინტელექტუალური ფასეულობის დაბანდებას და მის გამოყენებას შესაძლო მოგების მიღების მიზნით. სახელმწიფო თავისი ქონების განკერძოებისას ხშირად ერთ-ერთ პირობად აყალიბებს პრივატიზაბულ ობიექტში ინვესტიციის განხორციელების მოთხოვნას.

პრივატიზაცია არის ერთ-ერთი გზა ადგილობრივი მრეწველობის და ეკონომიკის რეაბილიტაციისა. საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში დღეისთვის ყველაზე მნიშვნელოვან კანონებად გვესახება სწორედ კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” (1996 წ.)[34]. კანონი “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ” (2002 წ.)[35] და კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ” (2006წ.) [36].

საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის და გარანტიების შესახებ” აყალიბებს ინვესტიციის განმარტებას: ინვესტიციად მიიჩნევა ”ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში”. ინვესტორად შეიძლება მოგვევლინოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას ამასთან, ზემოთ აღნიშნული კანონის მიხედვით, უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს

საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ” შეღავათიან სამართლებრივ რეჟიმს სთავაზობს უცხოელ ინვესტორებს, მაგალითად, ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს აღნიშნული კანონით დადგენილ ინვესტიციების პირობებს, მისი ძალაში შესვლიდან ათი წლის განმავლობაში არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციაზე. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორს ადგილობრივის მსგავსად უწესდება ზიანის ანაზღაურების პირობები საომარი მდგომარეობის და შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ამასთან, ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება და საინვესტიციო პროცესების გააქტიურება ბევრადაა დამოკიდებული მიმდინარე პრივატიზაციის პროცესზე, რომელიც როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს დღესაც მეტად მნიშვნელოვანი ხასიათის სირთულეებით ხასიათება.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებით ექსპორტის სტიმულირების მეშვეობით მიზანშეწონილია იმდენად, რამდენადაც:

იმპორტის ჩანაცვლება უცხოური ვალუტის ეკონომიას ახდენს, ხოლო ექსპორტის ჩანაცვლება მას გამოიმუშავებს;

ექსპორტის ჩანაცვლება მოიზიდავს უფრო მეტ ინვესტიციას იმპორტის პროტექციონისტულ ჩანაცვლებასთან შედარებით; უფრო ეფექტურად გამოიყენება შიდა რესურსები; მსუბუქდება საგარეო ვალი, უმჯობესდება მისი მომსახურების მაჩვენებლები და იზრდება საგარეო სესხების შესაძლებლობანი.

გარდა აღნიშნულისა, იმპორტის ჩანაცვლება ქვეყანაში გამოიწვევს ნაკლებად მიმზიდველი ან ისეთი დარგების განვითარებას, რომელთაც ნაკლები შანსი ჰქონდათ კონკურენციაში უპირატესობის მისაღწევად.

მართალია პროტექციონიზმს შეუძლია ამ დარგებს მისცეს შიდა ბაზარი, მაგრამ შიდა მწარმოებელი ვერ შეძლებს უპირატესობის მოპოვებას საერთაშორისო ბაზრებზე, ამასთანავე ეს დარგები ძალიან მგრძნობიარე იქნებიან ეკონომიკური ციკლებისა და სავალუტო რყევების მიმართ.

ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის მიმზიდველობაზე, რაც განაპირობებს უცხოელი ინვესტორის მიერ კაპიტალური დაბანდებების განახორციელებას სხვადასხვა მიმართულებით, ეროვნულ, რეგიონალურ, საერთაშორისო პროექტებში.

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. სრულფასოვანი რეფორმის გატარება, რომელიც გულისხმობს სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებას და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას.

საქართველოსათვის, ისევე როგორც გარდამავალ ეტაპზე მყოფი სხვა სახელმწიფოებისათვის, დამახასიათებელია:

1. ინვესტირებისა და დაგროვების შემცირება.
2. საწარმოო ინვესტიციების არასაწარმოო ინვესტიციების ხარჯზე შემცირება.
3. გრძელვადიანთან შედარებით მოკლევადიანი ამოცანებისთვის უპირატესობის მინიჭება.
4. მდგრადი ინფლაციური ტენდენციები და საბრუნავი ფულის უკმარისობა.
5. განუხრელად მზარდი ტექნიკურ-ეკონომიკური დისპროპორციები.

ამ ტენდენციებმა გამოიწვიეს შიდა ბაზრის შევიწროება, ეფექტური მოთხოვნის შემცირება, გაყიდვების კრიზისი.

საინვესტიციო საქმიანობის გასააქტიურებლად სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა რამდენიმე ეტაპად იყოფა.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პირველ ეტაპზე, სახელმწიფო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ინვესტიციების სტიმულირებისათვის უმნიშვნელოვანეს კომლექსურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და გააქტიურებისაკენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და გაკოტრების შესახებ კანონის [37,38,39,40] განხორციელებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისაკენ ფინანსური რესურსების გამოძებნა შესაძლებელია მეწარმეთა გადასახადებით დაბეგვრის შემსუბუქებით და მოსახლეობის დანაზოგების მობილიზაციით, რაც მიიღწევა საგადასახადო კანონმდებლობისა კარდინალური შეცვლის გზით, კრედიტებსა და ინვესტიციებზე სახელმწიფო გარანტიების სისტემის ჩამოყალიბებით, ეკონომიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლით და ა.შ. [41].

განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფომ თვითონ ჩამოაყალიბა საინვესტიციო სტრატეგია.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო კრედიტებს უნდა ჰქონდეთ მიზნობრივი მხარდაჭერა, რისთვისაც მიზანშეწონილია სპეციალური საინვესტიციო ინსტიტუტების შექმნა [42] .

საინვესტიციო მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობა, რომელიც, იყოფა ორ ნაწილად, საინვესტიციო და არასაინვესტიციო საქონელზე მოთხოვნად, ამ უკანასკნელში იგულისხმება მოხმარების საგნებიც.

საინვესტიციო პროცესის რეანიმაცია უნდა დაიწყოს საინვესტიციო საქონელზე წარმოების მოთხოვნის უზრუნველყოფით, რისთვისაც აუცილებელია მიზანმიმართული ფულადი ემისიის განხორციელება. ამასთან, საინვესტიციო ფულადი ემისია უნდა განხორციელდეს ნორმალურად ფუნქციონირებადი სიცოცხლისუნარიანი საწარმოების, პერსპექტიული საინვესტიციო პროექტებისა და გადახდისუუნარო ადგილობრივი საწარმოების დაფინანსებისათვის. ამასთან, სახელმწიფომ

ძალისხმევა უნდა მიმართოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად და მოსახლეობის ანაზრების ინვესტიციებად გარდასაქმნელად.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული დისპროპორციების პირობებში საინვესტიციო პროცესების სახელმწიფო რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს ეკონომიკური და ადმინისტრა-ციული მეთოდების შეთანაწყობით, ხოლო ეკონომიკური წონასწორობისა და საფინანსო და სამეწარმეო სექტორების დაბალანსებული განვითარების მიღწევის დროს სახელმწიფო რეგულირების როლი შეიძლება შემცირდეს, საჭიროების შემთხვევაში კი შენარჩუნდეს და გაძლიერდეს კიდეც.

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების უზრუნველ-ყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო შესაძლებლობის საინფორმაციო უზრუნველყოფას; პროექტების დაფინანსების, მიწების გამოყოფის და სხვა მოსახერხებელი სქემის ჩამოყალიბების შესაძლებლობა; პროტექციონისტული ტარიფები იმ საქონელზე, რომელსაც აწარმოებს უცხოელი ინვესტორი; საინვესტიციო პროექტისათვის საჭირო ძირითადი საშუალებების იმპორტის გადასახადისგან განთავისუფლება; საგადასახადო შეღავათები; საკანონმდებლო გარანტიები[43].

უცხოური კაპიტალის შემოდინების სტიმულირების მეთოდების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ინვესტიციებით გამოწვეული საერთო შემოსავალი ინვესტორის შემოსავალზე დიდია[44]. თუ უცხოური ინვესტიციები ზრდიან ეროვნული ეკონომიკის მწარმოებლურობას, მაშინ ნამეტი პროდუქცია ნაწილდება შემდეგ სუბიექტებზე:

- ინვესტორზე, რომელიც იღებს თავის წილ შემოსავალს დივიდენდების, მოგების ანარიცხების, ლიზინგის ან სხვა სახით;
- დაქირავებულ პერსონალზე (სამუშაო ძალა), რომელიც იღებს საკუთარი შრომის საფასურს.

როგორც საქართველოს მაგალითზე ჩანს, უცხოური კაპიტალით შექმნილ საწარმოებს გაცილებით ნაკლები დავალიანება გააჩნიათ აუნაზღაურებელი ხელფასების სახით;

არსებობს ინვესტიციების სტიმულირების მეორე მხარეც. კერძოდ, ქვეყანაში, ან მის რეგიონში სტიმულების ზრდა, სავარაუდოდ, კონკურენტების შესაბამის რეაქციას გამოიწვევს და სხვა ქვეყნებიც ადეკვატურ წამახალისებელ ნაბიჯებს გადადგამენ. მეტიც, სტიმულების ზრდის დროს რეგიონმა შეიძლება გადააჭარბოს და შემოსავლის ის ნაწილი დაიკარგოს, რომელსაც იგი მიიღებდა კაპიტალდაბანდებების იგივე დონის შენარჩუნების შემთხვევაში. ამიტომ, საჭიროა გვახსოვდეს, რომ საინვესტიციო გარანტიები მართალია აჩერებს ანტისტიმულების წარმოშობას, მაგრამ არ ზრდის საინვესტიციო ნაკადს რეგიონალურ ეკონომიკაში.

უცხოური კაპიტალის მოზიდვა ძირითადად დამოკიდებულია მოგების მიღებისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის შესაძლებლობაზე. რაც შეეხება საგადასახადო სტიმულებს, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, უცხოელი ინვესტორი უფრო მეტად დაინტერესებულია მოგების მიღებით, ვიდრე მოგებაზე საგადასახადო სტიმულების მოპოვებით. ამის გამო, საგადასახადო შეღავათები არ წარმოადგენს ინვესტიციის მოზიდვის უმთავრეს სტიმულს, ისინი უფრო აუცილებელი პირობაა ასეთი სტიმულების წარმოქმნისათვის. საინვესტიციო პირობების გაუარესებისა და ექსპროპრიაციისაგან დაზღვევის გარდა, უცხოური კაპიტალის ექსპორტიორი, ითხოვს გარანტიას შიდასახელმწიფოებრივი რისკებისგან დასაცავად. ინვესტიციის მიმღებ ქვეყანას შეუძლია საწყის ეტაპზე ინვესტორს დაუთმოს პროექტის განხორციელების ასპროცენტიანი უფლება, თუმცა მომავლისათვის მოითხოვოს პროექტის განვითარებაში ქვეყნის შიდა კაპიტალისა და ეროვნული რესურსების თანდათანობით ჩართვა.

აქედან გამომდინარე, როცა ხდება უცხოური სახელმწიფოებისა და კერძო ინვესტიციების შემცირება აუცილებელია მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან შიგა ინვესტირება, რათა შესაძლებელი იყოს უმუშევრობის შემცირება, ეკონომიკის განვითარება[45].

სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა შეუძლებელია ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვის გარეშე. ამისათვის საჭიროა აღმოიფხვრას ის მავნე ტენდენციები, რაც ხელს უშლის ინვესტიციების საქართველოში დაბანდებასა და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, რათა ინვესტორებს შეექმნათ წარმატებული ფუნქციონირების გარემო.

ჩვენს ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის საქმეში განსაკუთრებულისა სახელმწიფოს მარეგულირებელი და მაკორდინირებელი ფუნქცია. სწორედ სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა იყოს გარანტირებული ხელშეუხებელი და მემკვიდრეობითი საკუთრება, მეწარმეობით თავისუფლება, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საგარეო და საშინაო ეკონომიკური კავშირების გამჭირვალეობა, მოწესრიგებული და ძლიერი საბანკო სისტემა, მარტივი საგადასახადო და საბაჟო მექანიზმი, მიმზიდველი საზოგადოებრივი, სამოქალაქო და მეურნეობრივი წესრიგი.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება მხოლოდ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა როდია, ეს უწინარეს ყოვლისა იმ ტექნოლოგიური მიღწევების გაზიარების საშუალებაა, რაც ქვეყანას ასე სჭირდება. გარდა ამისა, პირდაპირ ინვესტიციებს დასაქმების სერიოზული პოტენციალი.

2004 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა 499 მილიონი დოლარი; 2005 წელს - 450 მილიონი დოლარი (გარკვეული კლება წინა წელთან შედარებით გამოწვეული იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებით); 2006 წელს – 1190 მლნ დოლარი; 2007 წელს – 2014 მლნ დოლარი. 2008 წელს საქართველოში შემოსულმა ინვესტიციებმა 1 564 მილიონი დოლარი

შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 600 მილიონით ნაკლები იყო, რაც გამოწვეული იყო აგვისტოს საომარი მოქმედებებით. 2009 წელს კი ინვესტიციების მოცულობა შემოდინება თითქმის 60 %-ით შემცირდა და დაახლოებით 660 მლნ-ს მიაღწია. 2010 წლის იანვარ-სექტემბერში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა დაახლოებით 500 მილიონი ლარი (ნახ. 1).




**ნახ. 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების დინამიკა**

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურა 2010 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს, რომ პირველ ადგილზე აშშ იმყოფება 17

პროცენტით, მეორეზე თურქეთი 11პროცენტით,მესამეზე ნიდერლანდები 9 პროცენტით, ხოლო მომდევნო პოზიციებს გაერთიანებული სამეფო, აზერბაიჯანი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები იკავებენ დაახლოებით 7-7 პროცენტით (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2010 წლის მიხედვით [46]

| ქვეყნები | 2008 | | 2009 | | 2010 | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. აშშ დოლარი | პროცენტ. წილი | მლნ. აშშ დოლარი | პროც ენტ. წილი | მლნ. აშშ დოლარი | პროც ენტ. წილი |
| სულ | 1564,0 | 100,0 | 658,4 | 100,0 | 814,5 | 100,0 |
| მათ შორის: | | | | | | |
| ევროკავშირის ქვეყნები | 476,7 | 30,0 | 224,7 | 34,1 | 248,2 | 30,5 |
| დსთ-ს ქვეყნები | 94,7 | 6,0 | 1,0 | 0,2 | 91,2 | 11,2 |
| აშშ | 167,9 | 10,7 | -10,0 | -1,5 | 135,8 | 16,7 |
| თურქეთი | 164,5 | 10,5 | 97,9 | 14,9 | 91,8 | 11,3 |
| ნიდერლანდები | 135,9 | 8,7 | 32,6 | 4,9 | 73,4 | 9,0 |
| გაერთიანებული სამეფო | 148,9 | 9,5 | 72,3 | 11,0 | 59,0 | 7,2 |
| აზერბაიჯანი | 23,9 | 1,5 | 29,8 | 4,5 | 58,0 | 7,1 |
| არაბეთის გაერთ. ემირატები | 306,6 | 19,6 | 162,8 | 24,7 | 55,5 | 6,8 |
| დანარჩენი ქვეყნები | 616,2 | 39,4 | 273,0 | 41,5 | 341,1 | 41,9 |

კვლევის შემდეგ ეტაპზე შევისწავლეთ ინვესტიციების განაწილება საწარმოთა ზომის, საკუთრების ფორმის და ეკონომიკური სექტორების მიხედვით მიხედვით 2007-2010 წლებში (ნახ. 2; ცხრილი 5).




**ნახ. 2. ინვესტიციები საწარმოთა ზომის და საკუთრების ფორმის მიხედვით.**

ზრდის დინამიკით გამოირჩევა მსხვილი საწარმოები და სახელმწიფო სექტორი. როგორც ცხრილიდან ჩანს 2007 წელს საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციებიდან უდიდესი ნაწილი (416,7 მლნ) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე მოდიოდა, რაც მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების 21%-ს შეადგენს, 2008 წლისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობა მცირდება,

ცხრილი 5. პირდაპირ უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით [47]

| | ინვესტიციები | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
| სულ | 2,014,841.55 | 1,563,962. | 658,400. | 814,4 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 15,527.9 | 7,844.3 | 22,326.9 | 8,631.9 |
| მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა | 398,240.9 | 207,327.9 | 139,805. | 228,77. |
| ენერგეტიკა | 362,581.1 | 294,864.8 | -2,130.6 | 21,877.9 |
| მშენებლობა | 171,891.8 | 56,725.3 | 105,218. | 4,705.9 |
| სასტუმროები და რესტორნები | 242,075.9 | 181,939.2 | 37,542.3 | 17,121.8 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 416,694.7 | 422,690.0 | 98,432.0 | 215,116 |
| უძრავი ქონება | 30,543.9 | 277,837.7 | 147,410. | 119,253 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1,185.8 | -14.5 | 289.1 | 1,182.4 |
| დანარჩენი მომსახურება | 139,544.9 | 101,240.0 | 51,291.2 | 89,212.8 |
| საფინანსო სექტორი | 136,914.5 | 8,519.4 | 49,663.4 | 107,406. |
| უცნობი | 99,640.2 | 4,988.2 | 8,552.2 | 1,217.9 |

მაგრამ ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა კვლავ იზრდება, უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი სწორედ ამ სექტორზე მოდის და 423 მლნ აშშ დოლარს, ანუ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 27%-ს შეადგენს. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ისე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში მოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მცირდება, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში იგი შეადგენს 98,4 მლნ აშშ დოლარს, ანუ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 15%-ს. 2010 წლის მონაცემებით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინდა 553,1 მლნ აშშ დოლარი, აქედან ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორზე მოდის 193,9 მლნ აშშ დოლარი, და მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობაზე (228,7მლნ.) აღსანიშნავია, რომ 2009-2010 წლებში მსოფლიოში უცხოური ინვესტიციების მოცულობის შემცირებით ხასიეთდება. ამ ფონზე საქართველო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებულად გამოიყურება.

ძირითადი პრობლემები ინვესტიციების შემოსვლის თვალსაზ-რისით, საქართველოს ძირითადად საომარი მოქმედებების შედეგად შეექმნა. აღსანიშნავია, რომ საომარ მოქმედებებს თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. თავისთავად ინვესტიციების ისეთი ბუმი, როგორიც იყო 2007 წელს, როცა ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების მოცულობამ 2 მლრდ-ს გადააჭარბა, ძნელად განმეროდება, რადგან ის პოლიტიკური ნება, რომელიც ქვეყანამ გაიმოჩინა, პირველ ეტაპზე უფრო ეფექტიანი იქნებოდა ვიდრე შემდგომ ეტაპებზე და ასეც მოხდა. ვინაიდან რაც არ უნდა აუთვისებელი იყოს ქვეყნის ეკონომიკა, გარკვეულ ეტაპზე, ინფრასტრუქტურის განვითარების გარკვეულ დონეზე ინვესტიციების "ჩადების" შესაძლებლობები სულ უფრო კლებულობს. 2004-2010 წლებში

დაახლოებით რვა ქვეყანაზე მოდის განხორციელებული ინვესტიციების 70-80%. ეს ქვეყნებია: ჩეხეთი, ყაზახეთი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, თურქეთი, რუსეთი, ნიდერლანდები და ამერიკის შეერთებული შტატები.




**ნახ. 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინფორმაციის წყაროების მიხედვით**

2010 წლის I და IIკვარტლებში, წყაროების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 82% - საწარმოებზე (1500 საწარმო) მოდის, მას მოჰყვება საფინანსო სექტორი - 10% და პრივატიზაცია - 8%. (დიაგრამ3) რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილს მშპ-ში (ნახ. 4) აღინიშნება კლების დინამიკა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა და გამარტივება მიგვაჩნია.




ნახ. 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში

ბოლო წლების განმავლობაში გამარტივდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, შემცირდა გადასახადების განაკვეთები, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებას და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, თუმცა მომავალშიც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ზრდა და საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება.

განვითარებას, რის შედეგადაც ყოველწლიურად იზრდებოდა საგადასახადო შემოსავლების მოცულობა, თუმცა მომავალშიც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ზრდა და საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოების და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება.

## 2.1.3 საგადასახადო სისტემა პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის ზრდის საქმეში.

საგადასახადო პოლიტიკა ესაა გადასახადების ასაკრეფად სახელმწიფოს ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ტარდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად, წარმოების მოცულობასა და მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით. სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის ამოცანებია: სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა; ქვეყანაში სამეურნეო რეგულირებისათვის პირობების შექმნა; საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის შემოსავლების დონის უთანაბრობის აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

საგადასახადო პოლიტიკა წარმოებს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღების საფუძველზე, რომლებიც ადგენს ქვეყანაში გადასახადების სახეებს, ასევე გადამხდელთა წრეს, საგადასახადო განაკვეთებს, საგადასახადო შეღავათებს, გადამხდელთა პასუხისმგებ-ლობას, გადასახადების განაწილებას ბიუჯეტის დონეებს შორის.სამეწარმეო საქმიანობის აქტივობაზე უშუალოდ სწორედ კონკრეტული გადასახადი (მისი განაკვეთი) მოქმედებს.

შვედეთში არსებობს გადასახადების კლასიფიკაციის სხვადასახვა გზები. გადასახადები დაყოფილია წარმოების ორ ფაქტორთან კავშირში (შრომა და კაპიტალი). გადასახადების 2/3 შეიძლება მივაკუთნოთ შრომაზე გადასახადებს. ეს გადასახადები იყოფა საშემოსავლო გადასახადებად და სოციალური დაცვის შემოწირულობებად. შვედეთში აგრეთვე არსებობს სიმდიდრის გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი და დღგ. ეს უკანასკნელი არის სახელმწიფო გაყიდვების გადასახადი. დღგ-თი დაბეგვრას ექვემდებარება ყველა სახის საქონელი და მომსახურება. აქციზს აქვს ორმაგი დანიშნულება:ხელი შეუწყოს სახელმწიფო შემოსავლების ფორმირებას;გარკვეული საქონლისა და მომსახურების მოხმარებას.

აქციზური გადასახადები დაწესებულია: ტრანსპორტზე, ალკოჰოლზე, თამბაქოზე, ასევე ლატარიებზე, აზარტულ თამაშებსა და რეკლამებზე.

იტალიაში საგადასახადო რეფორმა ძირითადად კონცენტრირებული იყო საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე. 1997-98 წლებში იტალიაში გატარდა რეფორმა, რომელმაც მოიცვა პერსონალური საშემოსავლო გადასახადი და კორპორაციული გადასახადი[48].

თურქეთში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საგადასახადო შემოსავლების პროცენტული წილი მშპ-ში დასტაბილურდა და 30%-ია. თურქეთის საგადასახადო სისტემა გამოირჩეოდა თავისი სირთულით. კომპლექსურობა გამწვავებული იყო არასტაბილური საგადასახადო პოლიტიკით, მაღალი და არასტაბილური ინფლაციის განაკვეთებით. საბიუჯეტო დეფიცის შესავსებად გამოიყენებოდა დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები [49].

უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაში OECD-ის წევრ ქვეყნებში საგადასახადო სისტემის სფეროში განხორციელდა სისტემური ცვლილებები, რამაც გამოიწვია ამ სისტემების ფუნქციონირების გზების ცვლილება და მათი სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედება (გავლენა). ზოგიერთ ქვეყანაში რეფორმები ელვისებური სისწრაფით განხორციელდა. ზოგიერთში კი პირიქით, ნელა და თანმიმდევრულად. ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ამოცანების გადაჭრას [50].

საგადასახადო სისტემას განეკუთვნება განსაკუთრებული როლი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების საქმეში. საწარმოთა დაბეგვრის დროს კომპლექსურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადი იმგვარად, რომ საგადასახადო წნეხი იყოს გონივრული.

როგორც განვითარებულ, ისე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი სტაბილურობა, კანონმდებლობის მუდმივი

ცვლილებებისაგან თავის შეკავება. მიჩნეულია, რომ საგადასახადო სისტემის გაუთავებელი ცვლილებები იწვევს სერიოზულ დაძაბულობას და დიდ ტვირთად აწვება მცირე და საშუალო მეწარმეობას. 2005 წლის საგადასახადო კოდექსით გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, შემცირდა გადასახადების ოდენობა, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. მნიშვნელოვანია ის, რომ საგადასახადო კოდექსით არსებული 21 გადასახადიდან დღესდღეობით, მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი. გამარტივდა და შემსუბუქდა საგადასახადო სანქციები [51].

მაგალითად: პირგასამტეხლოები შემცირდა თითქმის 2,5-ჯერ, ხოლო დღიური 0, 155 (წლიური 54%) საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 0,07%-მდე (წლიური 24%); ასევე გადამხდელს უფლება აქვს, შეცვალოს და შეასწოროს მისი საგადასახადო დეკლარაცია საჯარიმო გადასახადის გარეშე, თუკი ეს მოხდება ინსპექციის მითითებამდე. ხოლო საგადასახადო კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, ჯერ ფინანსური სანქციები ეკისრება, ხოლო შემდგომ კრიმინალური სანქციები ინიცირდება მხოლოდ გადაუხდელობის ან განმეორებით დარღვევის შემთხვევაში.

ახალი საგადასახადო კოდექსი 2011 წლიდან ამოქმედდა[52]. ეს ბოლო ათწლეულში მიღებული უკვე მეორე ახალი საგადასახადო კოდექსია, რომელიც 2005 წლიდან ამ სფეროში მოქმედ წესებს შეცვლის. საგადასახადო კანონმდებლობაში უცვლელი დარჩა საერთო - ეროვნული და ადგილობრივი გადასახადების ექვსივე სახე და მათი უმეტესობის განაკვეთები, თუმცა გაფართოვდა დასაბეგრი ობიექტების ბაზა.

ამ კუთხით, ერთადერთი გამონაკლისია აქციზური გადასახადები, რომელთა გაორმაგებული ოდენობაც გარკვეულ სასაქონლო კატეგორიებზე, მათ შორის ალკოჰოლურ სასმელებსა და ჯართზე, უკვე ამოქმედდა 1 აგვისტოდან ახალ საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულ რიგ სხვა დებულებებთან ერთად, რომელთა შორისაა ასევე საგადასახადო

რეგულაციების დარღვევებზე გათვალისწინებული სოლიდური საჯარიმო სანქციები. დღგ-ს 100 000 და მეტი ლარის ბრუნვის მქონე გადაიხდის.

გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის კლების გრაფიკი ახალი საგადასახადო კოდექსით გადავადებულია და ნაცვლად 20%-დან 15%-მდე ეტაპობრივი შემცირებისა, ითვალისწინებს გადასახადის 18%-მდე შემცირებას 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე პერიოდში. 2013 წლამდე კი საშემოსავლო გადასახადი 20%-იან განაკვეთზე იქნება შენარჩუნებული, კანონის გარდამავალი დებულებების თანახმად.

ამასთან, 2011 წლიდან საბაჟო კოდექსი წყვეტს არსებობას და მისი ნორმები საგადასახადო კოდექსის ინტეგრირებული ნაწილი ხდება. [53]იმპორტის გადასახადი სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებზე 12 და 5 პროცენტს შეადგენს. კოდექსში აღარსად ფიგურირებს ჩანაწერი იმპორტის ცალკეულ ჯგუფებზე არსებული 0%-იანი დაბეგვრის რეჟიმის შესახებ, რაც 2006 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებს.

იმპორტის გადასახადის გადახდა, ახალი კოდექსის თანახმად, იმპორტიორებს არა უშუალოდ საბაჟოზე, არამედ საგადასახადო დეკლარაციების წარდგენისას მოუწევთ. ნაცვლად არსებული ყოველთვიური გადახდის წესისა, გადასახადების დეკლარირება კვარტალურად მოხდება, ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

ახალი კანონმდებლობის სიახლეს წარმოადგენს მიკრო ბიზნესის სტატუსის შემოღება. ასეთად შეუძლია დარეგისტრირდეს (მომდევნო კალენდარულ წელს - 15 თებერვლამდე) 30 ათას ლარამდე წლიური ბრუნვის მქონე ფიზიკური პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულთა შრომას. ამ კატეგორიის ფიზიკური პირები გათავისუფლებულები იქნებიან საშემოსავლო გადასახადისგან და მათ ასევე არ ექნებათ საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება.

თუმცა 30 ათას ლარამდე ბრუნვის მქონე ყველა ფიზიკური პირი მიკრო ბიზნესის სტატუსს ვერ მიიღებს, რადგან კოდექსის თანახმად, გამონაკლის საქმიანობის სახეებს მთავრობა პარლამენტთან შეთანხმებით

განსაზღვრავს და მას ასევე ექნება უფლება აკრძალოს ამ სტატუსის ქვეშ ცალკეული საქმიანობების განხორციელებაც.

დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში ექცევიან ასევე მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირები. ასეთად ჩაითვლება ის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვაც 100 ათას ლარზე ნაკლებია. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების დროს ეს ზღვარი 200 ათას ლარს შეადგენდა. მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესის შემოსავალი 3%-დან 5%-მდე დაიბეგრება. შემოსავლის 3%-იანი დაბეგვრით ისარგებლებენ ის მცირე ბიზნესები, რომლებიც შეძლებენ წარმოადგინონ მათი მთლიანი შემოსავლის 60%-ის ოდენობის ხარჯების (გარდა დაქირავებულზე დარიცხული ხელფასის ხარჯებისა) დამადასტურებელი დოკუმენტები. 3%-იანი დაბეგვრით ასევე ისარგებლებენ მცირე ბიზნესის კატეგორიის ის წარმომადგენლები, რომლებიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქმიანობენ - აქ იგულისხმება, მაგალითად, ბაზრობა.

ახალი კოდექსის მიხედვით, გადამხდელთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნება საგადასახადო ომბუდსმენის პოსტი, რომელსაც პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დანიშნავს. საგადასახადო ობუდსმენი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს წელიწადში ერთხელ გადამხდელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს [54].

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს, პატიოსანი გადამხდელის წახალისების რიგ მექანიზმებს; ასევე ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭო, კანონის ორაზროვანი დებულების შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნება გადაწყვეტილება გადამხდელის სასარგებლოდ გამოიტანოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი საგადასახადო სივრცის ჩამოყალიბებას, თანაბარი შესაძლებლობებითა და პირობებით როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეწარმეებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი განსაკუთრებული შეღავათების მინიჭება უცხოელი ინვესტორებისათვის ეჭვქვეშ აყენებს ეროვნული საგადასახადო სისტემის ობიექტურობას და ძირს უთხრის მას. იგი სამამულო მცირე და საშუალო საწარმოებს უქმნის დამატებით სიძნელეებს ჩამოყალიბება-განვითარებისა და სათანადო კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამრიგად, მცირე და საშუალო საწარმოთა მიმართ გონივრული საგადასახადო განაკვეთების შემუშავებასთან ერთად, მიზანშეწონილია, ძალისხმევა წარიმართოს, ძირითადად, იმ წინააღმდეგობების დასაძლევად, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადების ადმინისტრირებასთან.

სახელმწიფო ხარჯების ზრდის შედეგების ანალიზმა, დადებითი და უარყოფითი ასპექტების შედარებამ და შეფასებამ განაპირობა მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ის აღმოჩენა, რომელიც გააკეთა ამრიკელმა მეცნიერმა ა. ლაფერმა. დაასაბუთა რა («ლაფერის მრუდეზე") საგადასახადო წნეხისა და ეკონომიკის განვითარების დინამიკურობის განმაპირობებულობა: სამეურნეო სტრუქტურების შემოსავლის ნამეტანი მოცულობის გადასახადის დაბეგვრა უკარგავს მათ მეწარმოებრივ სტიმულს, აკნინებს წარმოების გაფართოების მისწარფებას, ამუხრუჭებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ანელებს ეკონომიკურ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს თვით სახელმწიფო ბუიჯეტის შემოსავალზეც. ამიტომ ზოგჯერ სასარგებლო და აუცილებელია გადასახადების მთლიანობაში შემცირება.

დღეისათვის საგადასახადო სისტემაში ძირითად გადასახადებად ითვლება მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადები. ერთი ამუხრუჭებს საკუთარი განვითარებისათვის ინვესტიციებს, მეორე - მომხმარებელს. აღნიშნული საკითხის მოგვარება დააინტერესებდა საწარმოებს, საკუთარი შემოსავლების მაქსიმალური ინვესტირებით.

გადასახადის გადახდის ინდიკატორი ასახავს კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადების მთლიან ოდენობას, გადახდის მეთოდსა და

სიხშირეს. მონაცემთა წყაროა ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა და უშუალოდ კომპანიებიდან მიღებული ინფორმაცია. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაიანგარიშება სამი მაჩვენებელი [55].

- გადასახადების გადახდების რაოდენობა.
- დროითი დანახარჯები.
- მთლიანი საგადასახადო განაკვეთი.

საქართველოში ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობა შემცირებულია, მყარი ეკონომიკური ზრდა კი მიიღწევა არსებული რესურსების ეფექტიანობით და არა თავად რესურსების გაზრდით, რაც ფაქტობრივად გვიქმნის საფუძველს იმისას, რომ დანამდვილებით დავასკვნათ: ბიზნეს გარემო საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიმძიმე შესაძლებელია ვნახოთ ბოლო 5 წლის მონაცემები. საგადასასხადო და საბაჟო ორგანოებიდან მიღებულ გადასახადებს ახასიათებს ზრდის დინამიკა 2004-2008წლებში. 2008-2009 წლებში კი ფინანსური კრიზისის და 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საგადასახადო და საბაჯო შემოსავლები მცირდება (ცხრილი 6).

**ცხრილი 6. საგადასახადო და საბაჟო ორგანოებიდან მიღებული შემოსავლები**

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 1928.7 | 2411.5 | 3149.4 | 4391.1 | 4752.7 | 4388.9 |
| საგადასახადო | 1299.8 | 1441.8 | 1846.4 | 2734.5 | 2965.4 | 2788.4 |
| საბაჟო | 628.8 | 969.6 | 1302.9 | 1656.6 | 1787.3 | 1600.5 |
| საშემოსავლო გადასახადი | 268.7 | 290.7 | 385.9 | 526.7 | 1296.3 | 1118.9 |
| მოგების გადასახადი | 161.6 | 210.3 | 341.1 | 554.8 | 592.3 | 518.4 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 629.4 | 987.4 | 1332.7 | 1973.7 | 2069 | 2051.7 |
| აქციზი | 204.8 | 286.4 | 335.6 | 428.6 | 518.5 | 443.2 |
| საბაჟო გადასახადი | 100.1 | 123.4 | 132.4 | 52 | 51.9 | 35.9 |
| ქონების გადასახადი | 46.6 | 60.4 | 85.8 | 107.9 | 131.9 | 160.4 |

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს მთლიანი შიგა პროდუქტი 2008 წელთან შედარებით 1 088,9 მილიონი ლარით ნაკლები იყო, ანუ 5,7 პროცენტიანი შემცირება იყო დაფიქსირებული. მშპ-ს რეალური ზრდა აღინიშნა 2008 წლამდე. 2008 წელს კი ყველა მაჩვენებელი შემცირდა. 2009 წლიდან კი აღინიშნება ზრდის დინამიკა (ცხრილი 7).

### ცხრილი 7. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ, ლარი | 9824,3 | 11620,9 | 13789,9 | 16993,8 | 19074,9 | 17986,6 | 20791,3 |
| მშპ -ს რეალური ზრდა, პროცენტი | 5,9 | 9,6 | 9,4 | 12,3 | 2,3 | -3,8 | 6,4 |
| მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი | 2276,7 | 2689,1 | 3133,1 | 3866,9 | 4352,9 | 4101,8 | 4686,5 |




ნახ. 5. საგადასახადო ტვირთის განაწილების დინამიკა

ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი, რომლითაც ხასიათდება საგადასახადო პოლიტიკა, არის საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი. საგადასახადო ტვირთი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მიკრო,

ასევე მაკროეკონომიკურ დონეზე. მიკროეკონომიკური გაგებით, საგადასახადო ტვირთი წარმოადგენს კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტისათვის მისი ეკონომიკური რესურსების განაწილების სიმძიმეს. საგადასახადო სისტემის შეფასების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია საგადასახადო ტვირთის მაკროეკონომიკური გაგება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით დაბეგვრით გამოწვეულ ერთობლივ სიმძიმეს. აქედან გამომდინარე, საგადასახადო ტვირთი ზოგადად განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების შეფარდება ერთობლივ შიგა პროდუქტთან და გვიჩვენებს, საზოგადოების მიერ შექმნილი პროდუქტის რა ნაწილი გადანაწილდება საგადასახადო-საბიუჯეტო მექანიზმით. აღნიშნული მექანიზმი იცვლება ქვეყნებისა და დროის პერიოდის მიხედვით და, შესაბამისად, საგადასახადო სიმძიმის მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში მერყეობს 25 პროცენტიდან (შვედეთი) 30 პროცენტამდე (აშშ). ქვეყნების დიდი ჯგუფისათვის იგი შეადგენს 40-45 პროცენტს. საგადასახადო ტვირთის გამოთვლის დროს მის მრიცხველსა და მნიშვნელში შეჰყავთ სხვადასხვა პარამეტრი. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში საგადასახადო ტვირთის მრიცხველი მოიცავს როგორც წმინდა საგადასახადო შემოსავლებს, ასევე სპეციალური ფონდების შემოსავლებს, ხოლო ზოგან - მხოლოდ საგადასახადო შემოსავლებს. საგადასახადო ტვირთის შინაარსს, ჩვენი აზრით, უფრო მეტად შეესაბამება ყველა სახის საგადასახადო შემოსავლის თანაფარდობა რეალურად აღრიცხულ ფაქტობრივ ერთობლივ შიგა პროდუქტთან. ასეთი მიდგომით გამოთვლილი საგადასახადო ტვირთი უკვე რეალურად ასახავს დაბეგვრის იმ სიმძიმეს, რომელსაც ეწევიან გადასახადის რეალური გადამხდელები[56].

საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიდიდესთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საგადასახადო ტვირთი

საქართველოში უკანასკნელ წლებში მერყეობს 10-22 პროცენტის ფარგლებში, შესაბამისად: 2002 წელს _ 9,6 პროცენტი, 2003 წელს - 9,4 პროცენტი, 2004 წელს _ 13,5 პროცენტი, 2005 წელს - 15,7 პროცენტი, 2006 წელს - 19,1 პროცენტი, 2007 წელს _ 21,8 პროცენტი. (დიაგრამა5).

2010 წელს დაიწყო მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შედეგების გამოსწორების პროცესი.

2008 წლამდე საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო შემოსავ-ლების ფარდობა მშპ-სთან) ყოველწლიურად იზრდებოდა. ომის შედეგად საგადასახადო შემოსავლები უფრო ნელი ტემპით გაიზარდა ვიდრე მშპ, რამაც საგადასახადო ტვირთი შეამცირა. 2010 წელს აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა: საგადასახადო შემოსავლები უფრო ნაკლებად (10.9 პროცენტით) გაიზარდა, ვიდრე ნომინალური მშპ (15.6 პროცენტი). შედეგად საგადასახადო ტვირთი 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 23.4 პროცენტი შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წელს დაწყებული საგადასახადო რეფორმის შედეგად 21 გადასახადიდან მხოლოდ 6 დარჩა და თანაც მათი განაკვეთებიც შემცირდა, ბოლო წლებში მაინც იზრდებოდა საგადასახადო ტვირთის სიმძიმე, ანუ მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში გადასახადების შეფარდება. მართალია, თავად მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი უფრო სწრაფი ტემპით იზრდება.ტვირთი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, ამცირებს რა ბიზნესში თავისუფალი ფულის არსებობას, უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. გადასახადებიდან ამოღებული თანხის უდიდესი ნაწილი საჯარო სექტორში მიდის და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი რჩება კერძო სექტორში. ეს კი სერიოზულად ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობებს. საქართველოს ტიპის ქვეყნებისათვის ასეთი ტვირთი სასურველია 20%-ზე ქვემოთ იყოს.

## 2.2. პრივატიზებულ საწარმოთა აქტოვობაზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამაღლების მიმართულებები.

### 2.2.1. პრივატიზებულ საწარმოთა აქტივობის განზოგადოებული მაჩვენებლები და კრიტერიუმები

სიტყვა მეწარმე ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს შუაკაცს, შუამავალს, ადამიანს, რომელსაც უჭირავს შუა ადგილი; უფრო თავისუფალი თარგმანით ესაა ადამიანი, რომელიც მისდევს კომერციას.

სამეწარმეო პროცესი წარმოადგენს მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მეწარმე ახდენს პროდუქციის გამოშვებას მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შედეგად. მეწარმეობა ეკონომიკური აქტივობაა და უმეტესად ზრუნავს შექმნას სტაბილური, ზრდაზე ორიენტირებული და მომგებიანი ბიზნესი [57].

ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალგვარი ფორმებია ცნობილი. მათ შორისაა: საერთო ეკონომიკური, ეკონომიკურ-სოციალური, სოციალური, ინდივიდუალური საქმიანობის, ფირმის, დარგის, რეგიონის, ეროვნული მეურნეობის, მსოფლიო ეკონომიკის, წარმოების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების, საბაზრო სტრიუქტურების ეფექტიანობა, სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა, ცოცხალი და განივთებული შრომის ეფექტიანობა და სხვა [58].

ეკონომიკური ეფექტიანობის გამოკვლევის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს მისი კრიტერიუმის და მაჩვენბელთა სისტემის ცოდნასაც.

თეორიულად ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმის არის მისი არსის განმსაზღვრელი სიდიდ, მისი თვისობრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობის ერთიანობა[59]. ეფექტიანობის შესაფასებლად კრიტერიუმი რომ აუცილებელია, ეს გადაწყვეტილია, მაგრამ ჯერაც სადისკუსიო საკითხია ერთი იყოს კრიტერიუმი თუ რამდენიმე. რიგი მეცნიერების აზრით (ს.პავლიაშვილი) არსებობს ეკონომიკური

ეფექტიანობის კრიტერიუმის ობიექტური სისტემა, რომელიც განპირობებულია ეკონომიკური მოთხოვნილებების და ეკონომიკური ინტერესების სიმრავლით. თუმცა ამ სისტემაში აუცილებალდ სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველს ქმნის [60].

პავლიაშივილი ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის კრიტერიუმად თვლის ერთობლივი რესურსების ეკონომიას საზოგადოების და ადამიანის განვითარებისათვის, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმად - ნატურალურ-ნივთობრივი სტრუქტურით გამოხატული შედეგების მაქსიმიზაციის ერთობლივ რესურსებზე გადაანგარიშებით საზოგადოებისა და ადამიანის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის, მიკროეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმად _ მოგების მაქსიმიზაციას, ანუ ზღვრული შემოსავლების ტოლობას ზღვრულ დანახარჯებთან და ა.შ.

ეფექტიანობის მაჩვენებლებიც სისტემის სახით განიხილება, ეს მაჩვენებლები ჯგუფდება: ძირითად (მაკროეკონომიკური), კერძო (მიკრო-ეკონომიკური) და ეკონომიკური ეფქტიანობის მამოძრავებელ (დინამი-ზაციის) მაჩვენებლად.

ცალკეული ფირმების ეფექტიანობის მაჩვენებლები იყოფა ორ ჯგუფად: შეფასებით მაჩვენებლებად და წარმოების დანახარჯების მაჩვენებლებად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება მოგება, საქონელბრუნვა, პირობით წმინდა პროდუქცია, ანუ დამატებული ღირებულება და ა.შ. მეორე ჯგუფს _ დანახარჯები შრომის ანაზღაურებაზე, დახარჯული სამუშაო დრო კაც-საათებში, ამორტიზაცია, დანახარჯები მატერიალურ-ენერგეტიკულ რესურსებზე და ა.შ. ამ ჩამონათვლიდან პავლიაშვილი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს [61].

1. ფირმის საქონელბრუნვას ანუ გაყიდვების მოცულობას.
2. მთლიან მოგებას.
3. პირობით წმინდა მოგებას.
4. პირობით წმინდა პროდუქციას.
5. მოგებას დარჩენილს სესხებსა და კრედიტებზე პროცენტის გადახდის შემდეგ.
6. მოგებას დარჩენილს გადასახადების გადახდის შემდეგ.
7. მოგებას ყველა სხვა დამატებითი გადასახადის გადახდის შემდეგ.
8. ლიკვიდურობას წარმოების განვითარებისათვის ახალი კაპიტალური დაბანდებების განხორციელების შემდეგ.
9. ლიკვიდურობას დივიდენდების გადახდის შემდეგ.

ეს ჩამონათვალი არ ნიშნავს იმას, რომ იგი საყოველთაოდ აღაირებულია და პრაქტიკულადაც გამოიყენება. პროფესორ ნ. ბიჭიაშვილის აზრით[62], მაჩვენებელთა ეს ნუსხა რეკომენდაციული ხასიათისაა და მისი ცვლილება შესაძლებელია, მაგრამ მათ შორის მთავარ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლად იგი მიიჩნევს ფირმის მიერ წარმოებულ პროდუქციის მოცულობას და მოგებას. მაჩვენებელთა ეს ნუსხა რომ სავალდებულო არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ სხვა სპეციალისტები ეფექტიანობის მაჩვენებლად სხვა მაჩვენებლებს მიიჩნევენ. ქართველი მეცნიერები [63] აზრით ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებია შრომატევადობა, კაპიტალტევადობა, მასალატევადობა და მათი უკუგებები, თვითღირებულება, მოგება და რენტაბელობა. გ. პაპავას და ვ. პაპავას აზრით საწარმოს ეფექტიანობის განზოგადოებული მაჩვენებლებია: თვითღირებულება, რენტაბელობა, მოგება, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობა [64].

საწარმოო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ჯერ-ჯერობით მისი უნიფიცირებული მეთოდიკა არ არსებობს. ჩანს ისიც, რომ მეცნიერები ბიზნესის ეფექტიანობის განსაზღვრისათვის[62] იმდენ მაჩვენებელს

გვთავაზობენ, რომ მათ პრაქტიკული ანგარიში ფიზიკურად შეუძლებელია, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არცერთი ბიზნეს-სუბიექტი მათ საანგარიშო ინფორმაციას არ გასცემს, რადგან მათთან ეს ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად ითვლება.

საქართველოში მეცნიერულ დონეზე არ არის დამუშავებული ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის ერთიანი თეორიულ-მეთოდოლიგიური უნივერსალური მეთოდიკა. ეკონომიკური ეფექტიანობის საანგარიშოდ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა მაჩვენებელს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთთან არ არის შეჯერებული.

პრივატიზაციის პროცესის განხორციელებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ეფექტიანი მესაკუთრის ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი კი საშუალო ფენის ფორმირების წინაპირობაა. სხვანაირად, პრივატიზაციას აზრი ეკარგება და ვერ გამოიღებს სასურველ და უმთავრეს შედეგს, რასაც ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური წინსვლა წარმოადგენს. პრივატიზება წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდის ერთერთ საშუალებას. იგი არსებითი და მნიშვნელოვანი მოვლენაა, მისი სწორად წარმართვა დადებით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

პრივატიზაციის პროცესის შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა არაერთი სამეწარმეო ინტერესის მქონე იურდიული პირი კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საფუძველზე. ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესისათვის და საფონდო ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გამჭვირვალე და ეფექტური ფორმირება. სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად მართვისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებ-რივი ფორმების შერჩევა. ამ მხრივ საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” მკაფიოდ განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის შემდეგ სახეებს: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხის-

მგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგა-დოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი[65].

საქართველოს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის დღეს გაწეულ ძალისხმევაზე. სამეწარმეო საქმიანობა საფუძველს მცირე და საშუალო მეწარმეობიდან იღებს. მცირე ბიზნესს მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა. აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში არსებობს სახელმწიფო მნიშვნელობის ინსტიტუტები, რომლებიც მცირე და საშუალო მეწარმეობის საკითხებისა და პრობლემებს სწავლობენ. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქვეყანაში მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ როლს ასრულებს; პირველ რიგში უზრუნველყოფს დასაქმების პრობლემას, ასევე ზრდის კონკურენტულ გარემოს და მხარს უჭერს სოციალური უთანასწორობის შერბილებას.

მსოფლიო ბანკმა დაადგინა მთავარი კრიტერიუმები, რომელიც მსხვილ და მცირე ბიზნესს ერთმანეთისგან გამოყოფს [66]: პერსონალის რაოდენობა, საწესდებო კაპიტალის ოდენობა, აქტივების მოცულობა, მოგების ან შემოსავლის ოდენობა. ხოლო ევროკომისიის მიერ შემუშავდა და 2005 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ამ კრიტერი-უმების თანახმად, ჩამოყალიბებული შემდეგნაირი კლასიფიკაციები:

1) საშუალო საწარმოდ ითვლება ის ორგანიზაცია, სადაც დასაქმებულთა ზღვარი 50-249 ადამიანს აღწევს. ბრუნვა 50 მლნ. ევრომდე.

2) მცირე საწარმო - 10-49 დასაქმებული ადამიანი, ბრუნვა 10 მლნ. ევრომდე.

3) მიკრო საწარმო - 10 კაცზე ნაკლები, ბრუნვა 2 მლნ. ევრომდე.

ამჟამად ევროკავშირში დამუშავებულია და მოქმედებს მცირე საწარმოთა დებულება (Charter for Small Enterprises), რომელიც ევროკო-

მისიის (ევროკავშირის მთავრობა) პოლიტიკის საფუძველია მცირე ბიზნესის საწარმოებისთვის.

აღნიშნული დებულება მიღებული იქნა ესპანეთში 2000 წელს და ის მთავარი დოკუმენტია, რომელიც 2010 წლამდე ევროპის განვითარების სტრატეგიას ასახავს. ეს სტრატეგია ითვალისწინებს ევროპაში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნას 2010 წლისათვის, სადაც წამყვან როლს მცირე ბიზნესი ითამაშებს. საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებს საწარმოს მცირე ბიზნესისთვის მიკუთვნების თავისებური კრიტერიუმები აქვს. ასე, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (OECD) საწარმოში დასაქმების შემდეგი კრიტერიუმები მოქმედებს:

არა უმეტეს 19 კაცი – ძალიან პატარა;

არა უმეტეს 99 კაცი – მცირე;

100 – 499 კაცი – საშუალო;

500-ზე მეტი კაცი – მსხვილი.

გარკვეული განსხვავებები მცირე საწარმოს ტერმინის განმარტებაში თვით ევროკავშირის ქვეყნებში არსებობს.

ყოველივე ეს სახელმწიფოს აძლევს იმის საშუალებას, რომ განასხვავოს მცირე და მსხვილი წარმოება და ისეთი საგადასახადო სისტემა შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმატებას. მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს სახელმწიფო სტრუქტურები უწყობს, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არიან დაფუძნებულნი. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშვება და არათანაბარ კონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში. განვითარებულ ქვეყანათა უმეტესობაში მცირე და საშუალო საწარმოები (მათი განსაზღვრება სხვადასხვაგვარია) ბიზნესის თითქმის 90%-ს მოიცავს, წარმოქმნის სამუშაო

ადგილების 3/4-ს და მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარს ქმნის.

დასაქმება და უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. დასაქმება საქართველოს მთავრობის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა – 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომელიც დასაქმებულია ეკონომიკური საქმიანობით და უმუშევრები.

მაღალი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორიაზე საქართველოს ეკონომიკის დაბრუნება, ინფრასტრუქტურის განვითარება, მაღალხარისხიანი განათლება და ბიზნესგარემო დასაქმების პოლიტიკის მთავარი მდგენელებია. დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები საქართველოში 2004-2010 წლების მონაცემებით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი №8) [67,68]. საქართველოში უმუშევრობის დონის მაჩვენებელი 2010 წელს 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 16.3 პროცენტი შეადგინა. უმუშევრობის დონის შემცირებასთან ერთად აღინიშნა მოსახლეობის აქტიურობისა და დასაქმების დონეების ზრდა. 2010 წელს 2009 წელთან მიმართებაში აქტიურობისა და დასაქმების დონეები, შესაბამისად 0.6 და 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. საგრძნობლად იზრდება რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა 2004-2010 წლებში (ნახ. 6) 2009 წლის მონაცემებით სამეწარმეო სფეროს რეგისტრირებულ საწარმოთა მთლიანი რაოდენობის 80-81% მცირე საწარმოებია, რომლებიც საქმიანობის სახეებისა და რეგიონების მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული. (ცხრილი 15) მცირე საწარმოებში დასაქმებული იყო მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნა-წილი. კერძოდ, 2007 წელს აქ მუშაობდა 67677 კაცი. 2008 წელს მათი რაოდენობა შემცირდა ქვეყანაში მიმდინარე

ცხრილი 8. მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) | 2041.0 | 2023.9 | 2021.8 | 1965.3 | 1917.8 | 1991.8 | 1944.9 |
| დასაქმებული | 1783.3 | 1744.6 | 1747.3 | 1704.3 | 1601.9 | 1656.1 | 1628.1 |
| უმუშევარი | 257.6 | 279.3 | 274.5 | 261.0 | 315.8 | 335.6 | 316.9 |
| უმუშევრობის დონე (პროცენტებში) | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 |
| აქტიურობის დონე (პროცენტებში) | 56.7 | 55.2 | 53.8 | 54.9 | 52.3 | 52.9 | 53.8 |




ნახ. 6. რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა

სამარი მოქმედებების და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის გამო. მაგრამ, მომდევნო 2009 წლისათვის დასაქმებულთა რაოდენობა 86 ათასამდე, ანუ 2007 წელთან შედარებით 27%-ით გაიზარდა. ქვეყნის სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნებაში, მცირე ბიზნესში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 2007 წლის 18,7 %-დან 2009 წელს 22,2 %-მდე გაიზარდა. ყოველივე ეს მიუთითებს მცირე ბიზნესის მზარდ როლზე მოსახლეობის დასაქმებასა და მათი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში (ცხრილი 9).

**ცხრილი 9. დასაქმებულები საწარმოთა ზომის მიხედვით**

| წელი და კვარტალი | | სულ | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | |
| | | | მსხვილი | საშუალო | მცირე |
| | | კაცი | | | |
| | | 100000 | 200000 | 300000 | 400000 |
| 2004 | | 322,779 | 169,883.0 | 70,454.0 | 82,442.0 |
| 2005 | | 388,946 | 200,903.0 | 87,628.0 | 100,415.0 |
| 2006 | | 360,987 | 192,242.0 | 84,191.5 | 84,553.8 |
| 2007 | | 361,209 | 201,748.0 | 91,784.0 | 67,677.0 |
| 2008 | | 349,250 | 209,532.0 | 74,443.0 | 65,276.0 |
| 2009 | | 387,463 | 223,178.3 | 78,198.2 | 86,086.2 |
| 2010 | I | 358,934 | 208,148.0 | 74,456.0 | 76,330.0 |
| | II | 371,341 | 217,881.8 | 73,081.6 | 80,377.5 |
| | III | 365,249 | 215,666.2 | 68,720.3 | 80,862.6 |
| | IV | 366,151 | 217,292.5 | 71,338.9 | 77,519.7 |

ბოლო წლებში საქართველოში დაფიქსირდა კერძო სექტორის ინტენსიური ზრდა (ცხრილი 10). მკვეთრად განსხვავებულია ეკონომიკური

საქმიანობის სფეროების მიხედვით მოგების წილი. 2009 წელს, მოგების ყველაზე მეტი წილი (37,5%) მოდის ვაჭრობაზე, ავტომობილების და საყოფაცხოვრებო ნივთების რემონტზე; მეორე ადგილზეა იჯარა და კომერციული საქმიანობა (14,9%); მნიშვნელოვანი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სასტუმროები და რესტორნები. მნიშვნელოვნად მცირეა დანარჩენ სფეროებში. ცხრილი 11 [69].

**ცხრილი 10. დასაქმებულები საკუთრების ფორმის მიხედვით**

| წელი | კაცი | სახელმწიფო | კერძო | აქედან | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | კერძო (ადგილობრივი ფიზიკური და იურიდიული პირები) | კერძო (უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირები) |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 2004 | 322,779 | 144,442 | 178,33 | ... | ... |
| 2005 | 388,946 | 145,063 | 243,88 | ... | ... |
| 2006 | 360,987 | 107,011 | 253,97 | 213,923 | 40,053 |
| 2007 | 361,209 | 95,608 | 265,60 | 218,558 | 47,043 |
| 2008 | 349,250 | 83,239 | 266,01 | 212,132 | 53,879 |
| 2009 | 387,463 | 83,732 | 303,73 | 243,925 | 59,805 |
| 2010 | 397,806 | 80,332 | 317,473 | 255,705 | 61,768 |

ცხრილი 11. დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

| წელი | სულ | სოფლის მეურნეობა, ნადირობა სატყეო მეურნეობ | თევზჭერა, მეთევზეობა | მრეწველობა | მშენებლობა | ვაჭრობა,ავტომობილების,საყოფაცხოვრებო ნაწარმის რემონტი | სასტუმროები და რესტორნებ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2005 | 388,946 | 5,243 | 201 | 94,324 | 38,560 | 59,316 | 11,437 |
| 2006 | 360,987 | 4,437 | 228 | 90,311 | 46,681 | 51,15 | 11,993 |
| 2007 | 361,209 | 4,651 | 171 | 88,398 | 52,572 | 51,148 | 11,554 |
| 2008 | 349,250 | 4,350 | 180 | 85,711 | 38,109 | 55,278 | 11,184 |
| 2009 | 387,463 | 6,058 | 427 | 93,039 | 43,452 | 67,198 | 13,540 |
| 2010 | 397,806 | 7,228 | 450 | 95,849 | 40,303 | 68,221 | 16,106 |

ცხრილი 11 გაგრძელება

| წელი | ტრანსპორტი და კავშირ-გაბმულობა | საფინანსო საქმიანობა | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | განათლება | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | კომუნალური,სოციალური, ომსახურების დაწევა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2005 | 58,461 | 25,064 | 31,110 | 50,200 | 14,581 | 58,461 |
| 2006 | 54,418 | 25,421 | 12,986 | 50,644 | 12,716 | 54,418 |
| 2007 | 49,598 | 25,213 | 13,834 | 49,506 | 14,565 | 49,598 |
| 2008 | 50,560 | 25,401 | 13,517 | 51,081 | 13,879 | 50,560 |
| 2009 | 51,395 | 29,722 | 13,211 | 53,598 | 15,822 | 51,395 |
| 2010 | 50,388 | 30,859 | 14,650 | 56,583 | 17,169 | 50,388 |

ცხრილი 12. მცირე საწარმოთა საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში

| მაჩვენებლები | 2007 | 2008 | 2009 |
| --- | --- | --- | --- |
| მცირე საწარმოთა რაოდენობა, ერთეული | 18570 | 17681 | 21015 |
| მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხოვნობა, კაცი | 67677 | 65276 | 86086 |
| პროდუქციის გამოშვების მოცულობა, მლნ. ლარი | 513,3 | 527,4 | 881,3 |
| მთლიანი ბრუნვა, მლნ. ლარი | 932,9 | 967,6 | 1464,1 |
| იურიდიულ პირ მცირე საწარმოთა ინვესტიციები ძირითად კაპიტალში, მლნ. ლარი | 76,1 | 111,5 | 122,9 |
| მთლიანი დამატებული ღირებულება , მლნ. ლარი | 249,5 | 264,3 | 427,6 |
| ძირითადი კაპიტალი, მლნ. ლარი | 377,7 | 448,1 | 610,2 |
| იურიდიულ პირ მცირე საწარმოთა დარიცხული მთლიანი მოგება, ათ. ლარი | 57920,8 | 58572,3 | 98766,1 |
| პროდუქციის რენტაბელობა, % - ში | 10,7 | 10,1 | 7,0 |

ცხრილი 13. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა, მლნ. ლარი | 7248.4 | 10076 | 13090 | 17544 | 19650 | 20302 | 24400 |
| გამოშვებული პროდუქცია მლნ | 4374.8 | 5838.3 | 7412.6 | 9645.4 | 10248 | 1100 | 13303 |
| დამატებითი ღირებულება, მლნ. ლარი | 2238.6 | 2796.8 | 3479.4 | 4541.8 | 5162.6 | 5464 | 6703 |
| შუალედური მოხმარება, მლნ. ლარი | 2136.2 | 3041.5 | 3933.1 | 5103.7 | 5085.8 | 5539 | 6600, |
| ფიქსირებული აქტივები, მლნ. ლარი | 4942.8 | 5415.1 | 6040.5 | 7935.9 | 9257.1 | 12025 | 13386 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 322779 | 388946 | 360987 | 361209 | 349250 | 38746 | 39780 |
| დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება | 161.6 | 204.5 | 285.8 | 381.6 | 519.8 | 538.1 | 592,7 |
| უმუშევრობა, % | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 |
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი | 9824.3 | 11620.9 | 13789.9 | 16993.8 | 19074.9 | 17986 | 20791 |
| მშპ-ს რეალური ზრდა | 5.9 | 9.6 | 9.4 | 12.3 | 2.3 | -3.8 | 6.4 |
| მშპ დეფლატორი % | 8.4 | 7.9 | 8.5 | 9.7 | 9.7 | -2 | 8.7 |
| მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე, მლნ. ლარი | 2276.7 | 2689.1 | 3133.1 | 3866.9 | 4352.9 | 4101. | 4686. |

ცხრილი 14. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა (წინა წლის შესაბამისი პერიოდი =100 პროცენტი)

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა: თევზჭერა, მეთევზეობა | 92,1 | 112,0 | 88,3 | 103,3 | 95,6 | 93,2 | 95.2 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 80,1 | 92,2 | 118,7 | 119,9 | 116,7 | 109,4 | 104.6 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 111,6 | 114,1 | 122,3 | 111,5 | 98,5 | 91,5 | 120.2 |
| ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება | 96,0 | 105,1 | 113,4 | 106,8 | 103,7 | 106,2 | 102.0 |
| პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობის მიერ | 98,4 | 112,4 | 103,0 | 128,1 | 95,5 | 98,2 | 95.4 |
| მშენებლობა | 135,9 | 114,1 | 108,5 | 114,6 | 88,9 | 96,9 | 106.5 |
| ვაჭრობა: ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 108,2 | 109,4 | 119,7 | 109,6 | 111,8 | 83,7 | 114.1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 103,5 | 116,6 | 110,5 | 111,4 | 104,9 | 95,6 | 113.1 |
| ტრანსპორტი | 103,7 | 103,9 | 116,8 | 111,9 | 90,5 | 100,5 | 113.0 |
| კავშირგაბმულობა | 116,9 | 128,7 | 113,4 | 108,7 | 115,8 | 96,6 | 110.4 |
| საფინანსო საქმიანობა | 112,8 | 152,8 | 136,8 | 115,3 | 104,3 | 101,5 | 114.7 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 128,1 | 110,6 | 117,4 | 123,1 | 102,4 | 95,9 | 110.1 |
| საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა | 110,6 | 110,9 | 100,2 | 105,4 | 103,2 | 102,8 | 102.6 |
| სახელმწიფო მმართველობა | 109,7 | 93,7 | 97,6 | 115,9 | 109,9 | 101,2 | 100.8 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 104,2 | 107,6 | 115,4 | 110,4 | 106,8 | 108,7 | 102.9 |

ცხრილი 14 გაგრძელება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | 106,5 | 118,3 | 107,1 | 124,0 | 101,6 | 87,0 | 111.6 |
| შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მოხმარებისათვის | 120,5 | 81,2 | 108,5 | 107,5 | 105,8 | 102,7 | 109.5 |
| ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება | 92,1 | 157,5 | 85,0 | 142,5 | 126,3 | 99,0 | 109.6 |
| მშპ საბაზისო ფასებში | 105,6 | 110,4 | 109,6 | 111,6 | 102,6 | 95,9 | 107.1 |
| გადასახადები პროდუქციაზე | 108,3 | 101,2 | 106,9 | 117,3 | 100,6 | 98,3 | 101.3 |
| სუბსიდიები პროდუქციაზე | 99,2 | 100,5 | 89,0 | 106,5 | 108,2 | 104,0 | 104.3 |
| მშპ საბაზრო ფასებში | 105,9 | 109,6 | 109,4 | 112,3 | 102,3 | 96,2 | 106.3 |
| მშპ დეფლატორი | 108,4 | 107,9 | 108,5 | 109,7 | 109,7 | 98,0 | 108.5 |

რეალური მშპ-ის დინამიკის მიხედვით საქართველოსთვის 2009 წელი ბოლო ათწლეულში უმძიმესი წელიწადი იყო. ამ წელს ქვეყნის მშპ-ის 3.9 პროცენტიანი წლიური კლება დაფიქსირდა(ცხრილი14).

2009 წელს დაფიქსირებულ რეალური მშპ-ის 3.9 პროცენტიან კლებაში ძირითადი წვლილი ვაჭრობის სექტორმა შეიტანა (-2.8%). მნიშვნელოვანი უარყოფითი წვლილი შეიტანეს ასევე დამამუშავებელმა მრეწველობამ (-0.9%) და სოფლის მეურნეობამ (-0.7%). მშპ-ის ამ უარყოფითი დინამიკის ფონზე დადებითი დინამიკა ძირითადად ისეთმა

სექტორებმა უჩვენეს, რომლებშიც საბიუჯეტო დაფინანსება მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ჯანდაცვა და სოციალური დახმარება, განათლება, სახელმწიფო მმართველობა). რეალური მშპ-ის მეტად შემცირებას ხელი შეუშალა ელ-ენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების სექტორში და ტრანსპორტში დაფიქსირებლმა მცირედმა მატებამ.

2010 წლის ნომინალური მშპ წინა წელთან შედარებით 15.6 პროცენტით გაიზარდა, რასაც წინ უსწრებდა 2009 წელს 5.7-პროცენტიანი კლება. საანგარიშო წელს მშპ-ის დეფლატორი წინა წელთან შედარებით 8.7 პროცენტით გაიზარდა. როგორც მშპ-ის დინამიკის სექტორული ანალიზიდან ჩანს, 2010 წლის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი ისეთ დარგებს შეაქვთ, რომლებიც 2009 წელს ეკონომიკურ კლებაში მაღალი უარყოფითი წვლილით გამოირჩეოდნენ; კერძოდ, ვაჭრობის, დამამუშავებელი მრეწველობის და მშენებლობის სექტორებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია 2010 წელს ტრანსპორტისა და საფინანსო საქმიანობის სექტორების მნიშვნელოვანი ზრდა (13.1 და 14.7 პროცენტი, შესაბამისად) და რეალური მშპ-ის ზრდაში მათი მაღალი წვლილი (0.8 და 0.4 პროცენტი). როგორც ცხრილი14- დან ჩანს, საკმაოდ მაღალი ზრდა დაფიქსირდა და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი პოზიტიური წვლილი შეიტანეს შემდეგმა სექტორებმა: „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“, „ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება“, „სასტუმროები და რესტორნები“ და „კავშირგაბმულობა“. დანარჩენ სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების ზრდის წვლილი მთლიან ზრდაში შედარებით მოკრძალებული იყო. ამავე დროს, არსებითი კლება ეკონომიკის არცერთ სექტორში არ დაფიქსირებულა. 2008 წელს მნიშვნელოვანწილად, ხოლო 2009 წელს _ ძირითადად, რეალურ მშპ-ში პოზიტიური წვლილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სექტორებს შეჰქონდა. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ეკონომიკური ზრდა დიდწილად ბიზნეს სექტორმა განაპირობა.

ცხრილი 15. ნაერთი ბიუჯეტი (2005-2009, მლნ. ლარი)

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 2,828,9 | 3850,2 | 4972,7 | 5854,2 | 5264,5 | 5865,0 |
| გადასახადები | 1982,8 | 2646,6 | 3669,0 | 4752,7 | 4388,9 | 4867,5 |
| სოციალური შენატანები | 428,8 | 502,8 | 722,1 | - | - | - |
| გრანტები | 104,5 | 195,7 | 102,0 | 617,3 | 388,6 | 472,1 |
| სხვა შემოსავლები | 312,8 | 505,1 | 479,6 | 484,2 | 487,1 | 526,2 |
| ხარჯები | 2425,9 | 2978,7 | 4379,0 | 5410,9 | 5397,1 | 5480,3 |
| შრომის ანაზღაურება | 549,6 | 563,3 | 696,9 | 1008,1 | 1048,3 | 1120,2 |
| საქონელი და მომსახურება | 572,0 | 786,6 | 1590,8 | 1616,4 | 1105,2 | 1138,6 |
| სუბსიდიები | 436,3 | 419,0 | 267,3 | 362,5 | 613,5 | 380,0 |
| გრანტები | 4,7 | 6,8 | 18,7 | 12,2 | 8,8 | 10,5 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 558,1 | 661,4 | 933,7 | 1347,4 | 1505,9 | 1623,6 |
| სხვა ხარჯები | 183,3 | 436,4 | 773,0 | 953,8 | 944,3 | 1001,3 |
| ბიუჯეტის საოპერაციო სალდო | 403,0 | 871,5 | 593,7 | 443,3 | -132,5 | 385,5 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 240,8 | 505,1 | 541,0 | 826,7 | 1041,3 | 1320,9 |
| ბიუჯეტის მთლიანი სალდო პრეფიციტი (+) დეფიციტი (-) | 162,2 | 366,4 | 52,7 | -373,4 | -1173,8 | -935,3 |

2010 წელს დაიწყო მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შედეგების გამოსწორები პროცესი. 2010 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებმა და გრანტებმა 5,9 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 600 მლნ ლარით მეტია 2009 წელთან შედარებით (ცხრილი15).

შემოსავლების და გრანტების ნომინალურმა მატებამ 2010 წელს 11.4, ხოლო რეალურმა მატებამ 4 პროცენტი შეადგინა. საგადასახადო შემოსავლების რეალურმა ზრდამ 3.6 პროცენტი შეადგინა მშპ-ის 6.4 პროცენტიანი რეალური ზრდის ფონზე. აღნიშნული განსხვავება საგადასახადო ტვირთის შემცირებაზე მიანიშნებს.

2010 წელს წინა წლის მსგავსად საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურაში არაპირდაპირი გადასახადების წილი 58 პროცენტს შეადგენს, პირდაპირი გადასახადებისა კი _ 42 პროცენტს. 2010 წელს არაპირდაპირი გადასახადები უფრო მეტად გაიზარდა (12 პროცენტით), ვიდრე პირდაპირი გადასახადები (9.4 პროცენტით), რაც მიანიშნებს, რომ 2010 წელს გადასახადების სიმძიმე უფრო მეტად მომხმარებელზე გადავიდა ვიდრე მწარმოებელზე.

2010 წელს წინა წელთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები 335 მლნ ლარით (4.8 პროცენტით) გაიზარდა და 7.3 მლრდ ლარი შეადგინა. გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც (395 მილიონი ლარით) და 6.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წლის საბოლოო გეგმის 98 პროცენტია [70].

**ცხრილი 16. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განმაზოგადებელი მაჩვენებლები 2003-2010 წლებში (მლნ აშშ დოლარი)**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი | 461.4 | 646.9 | 865.5 | 936.4 | 1232.1 | 1495.3 | 1133.6 | 1583.4 |
| იმპორტი | 1141.2 | 1845.6 | 2490 | 3674.8 | 5212.2 | 6301.5 | 4366.1 | 5095.1 |
| საგარეო ვაჭრობის ბრუნვა | 1602.6 | 2492.5 | 3355.5 | 4611.2 | 6444.3 | 7796.8 | 5499.7 | 6678.5 |
| სალდო | -679.8 | -1198.7 | -1624.5 | -2738.4 | -3980.1 | -4806.2 | -3232.5 | -3511.7 |
| ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში, % | 28.8 | 26.0 | 25.8 | 20.3 | 19.1 | 19.2 | 20.6 | 23.7 |

2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 6678.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელს 21.1 პროცენტით აღემატება (ცხრილი16). საქონლის რეგისტრირებული

ექსპორტი 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 39.5 პროცენტით მეტია და1583.4 მლნ აშშ დოლარს უტოლდება. ამავდროულად, საქონლის იმპორტი, 5095.1 მლნ აშშ დოლარ გასული წლის მაჩვენებელს 16.4 პროცენტით აღემატებოდა.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. მისი მაქსიმალური მაჩვენებელი 2008 წელს დაფიქსირდა. აგვისტოს საომარი მოქმედებების და შემდგომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით, 2008 წლის მეორე ნახევრიდან აღინიშნა ვარდნა, როგორც რეგისტრირებული ექსპორტის, ასევე იმპორტის შემთხვევაში. მსოფლიო ეკონომიკის რეცესიიდან გამოსვლისა და მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნის ზრდის კვალდაკვალ 2010 წელს გაიზარდა საქართველოს საგარეო სავაჭრო აქტივობაც. ამავდროულად, ექსპორტის ზრდის ტემპი აღემატებოდა იმპორტის ზრდის ტემპს. შედეგად, 2010 წელს რეგისტრირებულმა ექსპორტმა 5.8 პროცენტით გადააჭარბა 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს; მაშინ, როდესაც რეგისტრირებული იმპორტი და სავაჭრო დეფიციტი ჯერ კიდევ 19.2 პროცენტით და 27.0 პროცენტით ჩამორჩებოდა 2008 წლის მაქსიმალურ მაჩვენებელს.

აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის საშუალო სიდიდე 2010 წლის განმავლობაში 1.7846 ლარს გაუტოლდა(ცხრილი17). 2010 წელს საშუალო წლიური გაცვლითი კურსი 6.83 პროცენტი (1.6705-დან 1.7846-მდე), ხოლო წლის ბოლო მონაცემით 5.16 პროცენტით გაუფასურდა (ლარი/ აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1.6858-დან 1.7728-მდე გაიზარდა). საანგარიშო პერიოდში ნომინალური ეფექტური კურსი 2.2 პროცენტით გაუფასურდა, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8 პროცენტით გამყარდა. 2010 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 9.6 პროცენტი (1,116.5 მილიონი აშშ დოლარი) შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2009 წელს 11.3 პროცენტი იყო. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირების დადებითი ტრენდი

ბოლო სამი წელია გრძელდება. აღნიშნული გამოწვეულია საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდით (2010 წელს 26.6 პროცენტი) და იმპორტის შედარებით ნაკლები მატებით (2010 წელს 15.7 პროცენტი) [71].

**ცხრილი 17. გაცვლითი კურსები**

| წელი და კვარტალი | აშშ დოლარი/ლარი | | ევრო/ლარი | | რუსული რუბლი/ლარი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პერიოდის ბოლო | პერიოდის საშუალო | პერიოდის ბოლო | პერიოდის საშუალო | პერიოდის ბოლო | პერიოდის საშუალო |
| | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 |
| 2006 | 1,7150 | 1,7767 | 2,2545 | 2,2290 | 0,0651 | 0,0654 |
| 2007 | 1,5916 | 1,6707 | 2,3315 | 2,2859 | 0,0649 | 0,0653 |
| 2008 | 1,6670 | 1,4902 | 2,3648 | 2,1886 | 0,0567 | 0,0601 |
| 2009 | 1,6858 | 1,6705 | 2,4195 | 2,3307 | 0,0557 | 0,0529 |
| 2010 | 1,7728 | 1,7826 | 2,3500 | 2,3644 | 0,0582 | 0,0587 |

### 2.2.2. პრივატიზაციასა და სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია

ჩვენ შევისწავლეთ ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები რომლებიც მოქმედებენ სამეწარმეო აქტივობაზე.

**ცხრილი 18. სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედი ფაქტორები**

| | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა, მლნ. ლარი | 7248.4 | 10076.3 | 13090.3 | 17544.4 | 19650.7 | 20302.2 | 24400,7 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამოშვებული პროდუქცია, მლ.ლარი | 4374.8 | 5838.3 | 7412.6 | 9645.4 | 10248.4 | 11003.1 | 13303,7 |
| დამატებული ღირებულება | 2238.6 | 2796.8 | 3479.4 | 4541.8 | 5162.6 | 5464.1 | 6703,2 |
| შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი | 2136.2 | 3041.5 | 3933.1 | 5103.7 | 5085.8 | 5539 | 6600,5 |
| ფიქსირებული აქტივები, მლლარი | 4942.8 | 5415.1 | 6040.5 | 7935.9 | 9257.1 | 12025.8 | 13386,1 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 322779 | 388946 | 360987 | 361209 | 349250 | 387463 | 397806 |
| დასაქმებულთა საშუალო თვი-ური შრომის ანაზღაურება | 161.6 | 204.5 | 285.8 | 381.6 | 519.8 | 538.1 | 592,7 |
| უმუშევრობა% | 12.6 | 13.8 | 13.6 | 13.3 | 16.5 | 16.9 | 16.3 |
| მშპ მიმდინარე ფასებში მლ.ლარი | 9824.3 | 11620.9 | 13789.9 | 16993.8 | 9074.9 | 17986 | 20791 |
| მშპ–ს რეალური ზრდა | 5.9 | 9.6 | 9.4 | 12.3 | 2.3 | -3.8 | 6.4 |
| მშპ დეფლატორი % | 8.4 | 7.9 | 8.5 | 9.7 | 9.7 | -2 | 8.7 |
| მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე მლ. ლარი | 2276.7 | 2689.1 | 3133.1 | 3866.9 | 4352.9 | 4101.3 | 4686.5 |
| გადასახადები-სულ | 1928.7 | 2411.5 | 3149.4 | 4391.1 | 4752.7 | 4388.9 | 4867.6 |
| საგადასახადო ტვირთი % | 5.09 | 4.8 | 4.37 | 3.87 | 4.01 | 4.08 | |
| ინვესტიციები სულ მლნ. ლარი | 499.1 | 449.8 | 1 190.4 | 24.8 | 1564.0 | 658.4 | 814.5 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 2492.5 | 3.355.4 | 4.6 | 6.447.3 | 7.8 | 5.500.1 | 6.7 |

ცხრილი 18 გაგრძელება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი | 646.9 | 865.5 | 936.0 | 1232.4 | 1.495.5 | 1.130.6 | 1.6 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი | 1845.6 | 2.49 | 3.7 | 5.214.9 | 6.304.6 | 4.369.5 | 5.1 |
| გაცვლითი კურსიაშშ დოლარი/ლარი (პერიოდის | 1.917 | 1.81 | 1.776 | 1.670 | 1.49 | 1.67 | 1.782 |
| გაცვლითი კურსიევრო/ლარი (პერიოდის საშუალო) | 2.38 | 2.26 | 2.229 | 2.285 | 2.188 | 2.33 | 2.364 |
| ინფლაციის მაჩვენებელი % | 7.5 | 6.2 | 8.8 | 11 | 5.5 | 3 | 11.2 |
| რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა | 120377 | 144949 | 173375 | 22718 | 260335 | 294300 | 324700 |
| პრივატიზებულ ობიექტტა რაოდენობა | 267 | 776 | 441 | 595 | 769 | | |
| ნაერთი პრივატიზაციიდან ბიუჯეტში | 72.6 | 419.4 | 564.9 | 643.8 | 697.8 | | |
| მთლიანი ეროვნული შემოსავალი | 10004.9 | 11791.7 | 14102.5 | 17060.5 | 18818 | 17789.5 | 20458.4 |

კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩვენ ჩავატარეთ სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა სტატისტიკური ანალიზი. გამოვთვალეთ საშუალო არითმეტიკული და საშუალო კვადრატული გადახრა, კორელაციური ანალიზი. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა SPSS 11.5 პროგრამული პაკეტით. რაოდანობრივი მაჩვენებლები ითვლება სარწმუნოდ თუ სტიუდენტის კოეფიციენტი $T>1,96$; $P<0,05$; კორელაციური ანალიზი ჩატარდა სპირმენის მიხედვით, კორელაცია სარწმუნოა თუ $P<0,05$. [72] (ანალიზი ჩავატარეთ 2003-2010 წლების პერიოდზე

ცხრილი 19. სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა სტატისტიკური ანალიზი.

| ფაქტორები | Minimum | Maximum | Sum | Mean (საშუალი) | Std.(საშ. კვადრატული გადახრა) |
|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა მლნ.ლარი | 5798.4 | 20302.2 | 93710.7 | 13387.24 | 2239.557 |
| გამოშვებული პროდუქცია მლნ.ლარი | 3050.7 | 11003.1 | 51573.3 | 7367.614 | 1161.254 |
| დამატებითი ღირებულება, მლნ.ლარი | 2238.6 | 5464.1 | 23683.3 | 3947.217 | 535.2041 |
| შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი | 2136.2 | 5539 | 24839.3 | 4139.883 | 549.095 |
| ფიქსირებული აქტივები, მლნ.ლარი | 4942.8 | 12025.8 | 45617.2 | 7602.867 | 1106.24 |
| დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | 322779 | 388946 | 2536053 | 362293.3 | 8574.656 |
| დასაქმებულა სასშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი | 161.6 | 611.1 | 2702.5 | 386.071 | 66.379 |
| უმუშევრობა | 12.6 | 16.9 | 103 | 14.714 | 0.673 |
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი | 9824.3 | 20791 | 110080.8 | 15725.83 | 1535.413 |
| მშპ-ს რეალური ზრდა | -3.8 | 12.3 | 42.1 | 6.014 | 2.036 |
| მშპ დეფლატორი % | -2 | 9.7 | 50.9 | 7.271429 | 1.565812 |
| მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე მლნ.ლარი | 2276.7 | 4686.5 | 25106.5 | 3586.643 | 340.4299 |
| გადასახადები-სულ | 1928.7 | 4867.6 | 25889.9 | 3698.557 | 450.516 |
| საგადასახადო | 3.87 | 5.09 | 26.22 | 4.37 | 0.197 |
| ტვირთი % | 449.8 | 2014.8 | 7191 | 1027.286 | 222.736 |
| ინვესტიციები სულ მლნ.ლარი | 2492.5 | 7800 | 36908.3 | 5272.614 | 718.738 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | 1.585 | 1495.5 | 6308.485 | 901.212 | 182.049 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი | 1845.6 | 6304.6 | 28997.6 | 4142.514 | 597.785 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი | 1.49 | 1.917 | 12.117 | 1.731 | 0.051 |
| გაცვლითი კურსი დოლარი/ლარი | 2.188 | 2.38 | 16.038 | 2.291 | 0.026 |
| გაცვლითი კურსი ევრო/ლარი | 3 | 11.2 | 53.2 | 7.6 | 1.128 |
| ინფლაციის მაჩვენებელი% | 120377 | 324700 | 1545216 | 220745.1 | 29231.61 |
| რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა | 267 | 776 | 2848 | 569.6 | 97.752 |
| პრივატიზებულ ობიექტტა რაოდენობა | 72.6 | 697.8 | 2398.5 | 479.7 | 112.054 |
| ნაერთი პრივატიზაციიდან ბიუჯეტში მლნ. ლარი | 10004.9 | 20458.4 | 110025.5 | 15717.93 | 1454.386 |
| მთლიანი ეროვნული შემოსავალი მლნ. ლარი | 96.1 | 112.3 | 635.6 | 105.933 | 2.421 |
| ეკონომიკური ზრდა | 0.066 | 0.082 | 0.456 | 0.076 | 0.002 |

მაღალი სტანდარტული გადახრის მაჩვენებლის წილი, იმის მანიშნებელია, რომ აღნიშნული ფაქტორი არასტანდარტულად იცვლება ხოლო დაბალი- სტანდარტული ცვლილების. ჩვენს შემთხვევაში აღინიშნა სტანდარტული ცვლილება.




**ნახ. 7. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით (1)**

როგორც დიაგრამიდან ჩანს, შუალედურ მოხმარებას, დამატებით ღირებულებას, ბრუნვას, ფიქსირებულ აქტივებს, გამოშვებულ პროდუქციას ახასიათებს ზრდის ტენდენცია. მშპ-ს მიმდინარე ფასებში ახასიათებს ზრდის ტენდენცია 2008 წლამდე, 2008-2009 წელს კი მცირდება, რაც უკავშირდება აგვისტოს საომარი მოქმედებებს და შემდგომ მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენას.




**ნახ. 8. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით (2)**

მშპ-ს რეალურ ზრდას, მშპ-ს დეფლატორს, ინფლაციას, ეკონომიკური ზრდას ახასიათებს პიკი 2007 წელს, 2008 წლიდან ახასიათებს მნიშვნელოვანი კლება, ხოლო 2009 წლიდან ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მატულობს.

უმუშევრობა იზრდება 2007 წლიდან, ხოლო 2010 წლიდან მცირდება, მცირდება ეკონომიკურ სუბიექტთა ეფექტიანობა, საგადასახადო ტვირთის მაჩვენებელი თითქმის არ იცვლება.




**ნახ. 9. მაკროეკონომიკური მაჩვენებლების განაწილება წლების მიხედვით (3)**

საგარეო სავაჭრო ბრუნვას, საქონლის რეგისტრირებულ იმპორტს და ექსპორტს ახასიათებს ზრდა 2008 წლამდე, 2009 წლამდე კლებულობს და 2010 წლისთვის ისევ იზრდება. Iნვესტიციები იზრდება 2007 წლამდე 2007-2009 წლებსი კლებულობს ხოლო 2010 წლისთვის ისევ იზრდება. ფაქტორს ნაერთი პრივატიზაციიდან ბიუჯეტში ახასიათებს ზრდის ტენდენცია.

მთელი რიგი ეკონომიკური საკითხების მოგვარება შესაძლე-ბელია მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საერთაშორისო სტატისტიკური შედარებებისთვის საწყის ინფორმაციად ითვლება ეროვნული სტატისტიკის მონაცემები.

რეგრესიული ანალიზი სტატისტიკური ტექნიკის ის საშუალებაა, რომლის გამოყენებითაც ის ცდილობს ახსნას ერთი ცვლადის ცვლილება, რომელიც დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს როგორც ფუნქცია სხვა ცვლადებისა, რომლებსაც დამოუკიდებელი ცვლადები ეწოდებათ.

რეგრესიული ანალიზის მეთოდები გამოიყენება ეკონომიკურ სისტემაში საკვლევ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის დასადგენად: ამოცანის არსის დასახვეწად და მართვისა და დაგეგმვის ამოცანების ამოსახსნელად და გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგნოზირების მათემატიკური მეთოდების გამოყენებას ეკონომიკური მაჩვენებლების დასადგენად, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მრავალფაქტორიანი მაპროგნოზირებელი მეთოდები.

მაპროგნოზირებელი მოდელების აგებისას ყურადღებას იმსახურებს შემთხვევითი მდგენელების გამოყოფა. შემთხვევითი მდგე-ნელების გამოყოფა საშუალებას იძლევა შედარებით სრულად ავღწეროთ ეკონომიკური მოვლენების ცვლილებების კანონზომიერებები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენების მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამად, ეკონომეტრიკული მოდელები და მეთოდები წარმოადგენენ მძლავრ იარაღს ეკონომიკაში არა მარტო ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების უკეთ შეცნობისათვის, არამედ პრაქტიკული გადაწყვეტილებების მისაღებადაც.

მათემატიკური მოდელები ფართოდ გამოიყენება ბიზნესსა, ეკონომიკასა, საზოგადოებრივ მეცნიერებებსა, პოლიტიკური პროცესების კვლევაში და სხვა.

დიდი ყურადღება ექცევა ფაქტორთა მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა დადგენასა და გამოვლენას. კორელაციისა (ლათინური სიტყვა რაც ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას) და რეგრესიული (ლათინური სიტყვა რეგრესსუსი-დან, რაც ნიშნავს უკუსვლას, დაქვეითებას) ანალიზის მეთოდი. მაჩვენებლის მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების განსაზღვრისთვის ჩვენ გამოვიყენებთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდს და მის საფუძველზე ვაჩვენებთ კავშირის ფორმებსა და რაოდენობრივ დახასიათებას მრავალფაქტორიანი რეგრესიის მოდელების გამოყენებით და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დახასიათებას

შესაბამისი კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებელთა დახმარებით. კორელაცია ორი სახისაა: წრფივი (სწორხაზოვანი) და არაწრფივი (მრუდხაზოვანი). პირველ შემთხვევაში კავშირის გამომსახველი განტოლებაა განტოლებაა y = ao + a1x, მეორე შემთხვევაში კი - ჰიპერბოლა y = ao + a1/x, პარაბოლა y = ao + a1x + a2x2+… წრფივი კავშირის შემთხვევაში (y = ao + a1x+…)

წრფივი რეგრესიის განტოლების ერთფაქტორიანი მოდელის აგება არასაკმარისია. თვით კორელაციური კავშირის სპეციფიკა მოითხოვს მოდელში სულ უფრო მეტი მნიშვნელოვანი და არსებითი ფაქტორების ჩართვას. ასეთი ფაქტორების შერჩევაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრობლემას მრავლობითი რეგრესიის განტოლების აგების დროს. ფაქტორები უნდა შეირჩეს შედეგზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. მოდელში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტორები, რომლებიც შედარებით ძლიერად მოქმედებენ შედეგზე მრავლობით რეგრესიაში ჩასართავი ფაქტორების შესარჩევად პირველ ეტაპზე გამოითვლება ფაქტორს შორის ურთიერთკავშირის წრფივი კოეფიციენტები.

მრავლობითი კორელაციური განტოლება წრფივი დამოკიდებულების შემთხვევაში ასეთია:

$y_x = a_0 + a_1x_1 + a_2x_2 + ... + a_nx_n$ სადაც $x_1, x_2, ..., x_n$ შედეგზე მოქმედი ფაქტორები.

$x_j$-ის თითოეული კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენი ერთეულით შეიცვლება y $x_j$-ის ერთი ერთეულით ცვალებადობისას და სხვა ფაქტორების ფიქსირებული მნიშვნელობის შემთხვევაში.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დავადგინოთ, რამდენად ადექვატურად ასახავს ჩვენს მიერ შერჩეული განტოლება ემპირიული მონაცემების განვითარების სურათს. ამ მიზნებისათვის სტატისტიკაში იყენებენ ფიშერის F კრიტერიუმს,

$$F = \frac{r^2(n-m)}{(1-r^2)(m-1)}$$

სადაც r2 დეტერმინაციის საერთო კოეფიციენტია, n დაკვირვებათა რიცხვი, m პარამეტრების რიცხვი მოდელში. F ფაქტობრივი მნიშვნელობის შედარებით მის ცხრილურ (კრიტიკულ) მნიშვნელობასთან მსჯელობენ შერჩეული მოდელის (განტოლების) ადექვატურობაზე. თუ ამ კრიტერიუმების საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურ მნიშვნელობას, მაშინ შერჩეული მოდელი ანუ განტოლება მნიშვნელოვანია

$$R_{xy} = \frac{\sum(x-\bar{x})(y-\bar{y})}{\sqrt{\sum(x-\bar{x})^2\sum(y-\bar{y})^2}}$$

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი იცვლება -1-დან 1-მდე. თუ ის უდრის 0-ს, მაშინ მოვლენებს შორის კავშირი არ არსებობს. თუ მეტია ნულზე და ნაკლების 1-ზე, მაშინ მოვლენებს შორის პირდაპირი კავშირია, ხოლო თუ მეტია –1-ზე და ნაკლებია 0-ზე, მაშინ შებრუნებული კავშირია. თუ კორელაციის კოეფიციენტი 1-ის ტოლია, მაშინ საქმე გვაქვს არა კორელაციურ, არამედ ფუნქციურ კავშირთან.

სამეწარმეო აქტივობა ეს არის მრავალფაქტორიანი მაჩვენებელი, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ძირითადი თუ მეორეხარისხოვანი ფაქტორები. რა თქმა უნდა ყველა მათგანის გავლენის ზომას ჩვენ ვერ დავადგენთ, მაგრამ მათგან გამოვყოფთ ძირითადს და შევეცდებით მაქსიმალურად ზუსტი გაანგარიშებების გაკეთებას.

სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა კორელაციური მატრიცა მოყვანილია ცხრილში 20. როგორც ცხრილებიდან ჩანს ბრუნვა დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: გამოშვებული პროდუქცია (r=0.99,p=0.000); დამატებითი ღირებულება (r=0.99,p=0.000); შუალედური ღირებულება (r=0.98,p=0.000); ფიქსირებული აქტივები (r=0.91,p=0.01); საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (r=0.88,p=0.008); ნაერთი

პრივატიზაციიდან (r=0.91, p= 0.03); ეკონომიურ სუბიექტთა ეფექტურობა (r=0.89, p= 0.01).

ფიქსირებული აქტივები დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: ბრუნვა (r=0.91,p=0.01); გამოშვებული პროდუქცია (r=0.91,p=0.009); დამატებითი ღირებულება (r=0.94,p=0.005); შუალედური ღირებულება (r=0.88,p=0.000); დასაქმებულთა საშ. თვიური ანაზღაურება (r=0.95,p=0.003); უმუშევრობა (r=0.88,p=0.02); მშპ მიმდინარე ფასებში (r=0.86,p=0.02); გადასახადები (r=0.84,p=0.04); რეგისტრირებული ეკონომიური სუბიექტები (r=0.97,p= 0.001); მთლიანი ეროვნული შემოსავალი (r=0.85,p=0.03); ეკონომიურ სუბიექტთა ეფექტიანობა (r=0.99,p=0.000);

მშპ მიმდინარე ფასებში დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: დამატებითი ღირებულება (r=0.98,p=0.000); შუალედური მოხმარება (r=0.97,p=0.001); ფიქსირებული აქტივები (r=0.86,p=0.03); დასაქმებულთა საშ. თვიური ანაზღაურება (r=0.98,p=0.000); უმუშევრობა (r=0.81,p= 0.02); მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე (r=0.99,p= 0.000); საგარეო სავაჭრო ბრუნვა (r=0.93,p= 0.002); საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (r=0.91,p= 0.004); რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა (r=0.97,p= 0.000); ნაერთი პრივატიზაციიდან (r=0.90,p= 0.03); მთლიანი ეროვნული შემოსავალი (r=0.99,p= 0.00); ეკონომიკური ზრდა (r=0.86,p= 0.03); ეკონომიურ სუბიექტთა ეფექტიანობა (r=0.84,p= 0.03); დასაქმებულთა რაოდენობა( r=0.780,p= 0.04); გამოშვებული პროდუქცია( r=-0.80,p= 0.03);ინვესტიციები( r=-0.84,p= 0.03); ხოლო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს საგადასახადო ტვირთთან (r=-0.94,p= 0.004); გადასახადები (r=-0.98,p= 0.000); მშპ დეფლატორი(r=-0.79,p= 0.04); ინფლაცია ( r=-0.74,p= 0.02).

მშპ-ს რეალური ზრდა დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შერმდეგ ფაქტორებთან: ინფლაცია (r=0.77,p= 0.04); ეკონომიკური ზრდა (r=0.99,p=0.000);

მშპ დეფლატორი დადებით კორელაციებს ამჟღავნებს მშპ-ს რეალური ზრდასთან (r=0.77,p=0.03);

საგადასახადო ტვირთი უარყოფით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: ბრუნვა (r=-0.94,p=0.005); გამოშვებული პროდუქცია (r=-0.94,p=0.005); დამატებითი ღირებულება (r=-0.91,p=0.01); შუალედური ღირებულება (r=-09.6,p=0.001); დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (r=-0.85,p= 0.023); მშპ მიმდინარე ფასებში (r=-0.94,p=0.004); მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე (r=-0.94,p= 0.004); საგარეო სავაჭრო ბრუნვა (r=-0.92,p=0.008); საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (r=-0.92,p=0.008); რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა (r=-0.87,p=0.02); ნაერთი პრივატიზაციიდან (r=-0.92,p=0.002); მთლიანი ეროვნული შემოსავალი (r=-0.95,p 0.002);

მთლიანი ეროვნული შემოსავალი დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: დამატებითი ღირებულება (r=0.89,p= 0.03); შუალედური ღირებულება (r=-09.4,p=0.01); ფიქსირებული აქტივები (r=0.89,p= 0.03); დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (r=-0.85,p= 0.023); უმუშევრობა (r=0.89,p= 0.03); მშპ მიმდინარე ფასებში (r=0.90,p= 0.04); მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე (r=0.89,p= 0.04); გადასხადები (r=-09.4,p=0.01); საგარეო ვაჭრობა (r=0.88,p= 0.046); საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (r=0.88,p= 0.049); გადასახადები (r=0.89,p=0.04); რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა (r=0.88,p=0.048); ნაერთი პრივატიზაციიდან (r=0.86,p= 0.03); ეკონომიურ სუბიექტთა ეფექტიანობა (r=-09.4,p=0.01).

ხოლო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს საგადასახადო ტვირთთან (r=-0.93,p=0.02);

ეკონომიკური ზრდა დადებით კორელაციებს ამჟღავნებს შემდეგ ფაქტორებთან: მშპ-ს რეალური ზრდა (r=0.99,p=0.00); ინფლაციის მაჩვენებელი (r=0.89,p=0.015); ხოლო უარყოფით კორელაციას ამჟღავნებს უმუშევრობასთან (r=-0.83,p=0.04);

ეკონომიურ სუბიექტთა ეფექტიანობა დადებით კორელაციებს ამჟღავნებს: ბრუნვა (r-0.89,p= 0.02); გამოშვებული პროდუქცია (r=0.90,p= 0.01); დამატებითი ღირებულება (r=0.92,p= 0.008); შუალედური ღირებულება (r=-0,87p=0.02); ფიქსირებული აქტივები (r=0.99,p=0.00); დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება (r=0.93,p=0.008); მშპ მიმდინარე ფასებში 1 სულზე (r=0.96,p=0.002); მთლიანი ეროვნული შემოსავალი (r=0.83,p=0.04); გადასახადები სულ (r=-0.82,p=0.047);

**ცხრილი 20. სამეწარმეო აქტივობაზე მომქმედ ფაქტორთა კორელაციური მატრიცა**

| | | ბრუნვა მლნ. ლარი | გამოშვებული პროდუქცია მლნ. ლარი | დამატებითი ღირებულება, მლნ. ლარი | შუალედური მოხმარება მლნ. ლარი | ფიქსირებული აქტივები, მლნ. ლარი | დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი | დასაქმებულა სასშუალო თვიური ანაზღაურება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა | R | 1 | 0.996 | 0.997 | 0.9883 | 0.914 | 0.2713 | 0.347 |
| | p | | 1.5E-06 | 1.26E-05 | 0.0002 | 0.01 | 0.5561 | 0.444 |
| გამოშვებული პროდუქცია მლნ.ლარი | R | 0.996 | 1 | 0.994 | 0.9948 | 0.917 | 0.2759 | 0.278 |
| | p | 1.5E-06 | . | 4.48E-05 | 4.04E-05 | 0.009 | 0.549 | 0.545 |
| დამატებითი ღირებულება, მლნ.ლარი | R | 0.997 | 0.994 | 1 | 0.978 | 0.94 | 0.363 | 0.989 |
| | p | 1.26E-05 | 4.48E-05 | . | 0.0006 | 0.005 | 0.478 | 0.0001 |
| შუალედური მოხმარება | R | 0.988 | 0.994 | 0.978 | 1 | 0.885 | 0.431 | 0.941 |
| | p | 0.0002 | 4.04E-05 | 0.0006 | . | 0.019 | 0.392 | 0.005 |
| ფიქსირებული აქტივები, | R | 0.914 | 0.917 | 0.9407 | 0.885 | 1 | 0.411 | 0.95 |
| | p | 0.01 | 0.009 | 0.005 | 0.019 | . | 0.417 | 0.003 |
| დასაქმებულთარაოდენობა,კაცი | R | 0.271 | 0.275 | 0.363 | 0.431 | 0.411 | 1 | 0.29 |
| | p | 0.556 | 0.549 | 0.478 | 0.392 | 0.417 | . | 0.526 |
| დასაქმებულ სასშუალო თვიური ანაზღაურებ | R | 0.347 | 0.278 | 0.989 | 0.941 | 0.95 | 0.29 | 1 |
| | p | 0.444 | 0.545 | 0.0001 | 0.005 | 0.003 | 0.526 | . |
| უმუშევრობა | R | 0.39 | 0.325 | 0.835 | 0.733 | 0.885 | 0.407 | 0.898 |
| | p | 0.386 | 0.475 | 0.0381 | 0.096 | 0.019 | 0.363 | 0.005 |

ცხრილი 20 გაგრძელება

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ.ლარი | R | 0.372 | 0.303 | 0.9835 | 0.971 | 0.866 | 0.278 | 0.978 |
| | p | 0.41 | 0.507 | 0.0004 | 0.0012 | 0.025 | 0.545 | 0.0001 |
| მშპ-ს რეალური ზრდა | R | -0.418 | -0.389 | -0.5477 | -0.3932 | -0.754 | -0.148 | -0.51 |
| | p | 0.35 | 0.387 | 0.2605 | 0.44 | 0.083 | 0.751 | 0.242 |
| მშპ დეფლატორი % | R | -0.4 | -0.414 | -0.438 | -0.382 | -0.698 | -0.518 | -0.289 |
| | p | 0.372 | 0.355 | 0.384 | 0.454 | 0.122 | 0.232 | 0.528 |
| მშპ მიმდინარე ფასებში1 სულზე მლნ.ლარი | R | 0.384 | 0.315 | 0.983 | 0.969 | 0.869 | 0.281 | 0.979 |
| | p | 0.393 | 0.49 | 0.0003 | 0.001 | 0.024 | 0.54 | 0.0001 |
| გადასახადები-სულ | R | 0.487 | 0.424 | 0.972 | 0.973 | 0.84 | 0.264 | 0.948 |
| | p | 0.266 | 0.343 | 0.001 | 0.001 | 0.036 | 0.566 | 0.001 |
| საგადასახადო ტვირთი % | R | -0.941 | -0.946 | -0.915 | -0.967 | -0.748 | -0.317 | -0.859 |
| | p | 0.005 | 0.004 | 0.01 | 0.001 | 0.086 | 0.539 | 0.028 |
| ინვესტიციები სულ მლნ.ლარი | R | 0.555 | 0.537 | 0.5195 | 0.607 | 0.231 | -0.159 | 0.274 |
| | p | 0.195 | 0.212 | 0.29 | 0.201 | 0.658 | 0.733 | 0.551 |
| საგარეო სავაჭრო ბრუნვა | R | 0.518 | 0.451 | 0.883 | 0.881 | 0.683 | 0.137 | 0.861 |
| | p | 0.232 | 0.308 | 0.019 | 0.02 | 0.134 | 0.768 | 0.012 |
| საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი | R | 0.886 | 0.901 | 0.880 | 0.866 | 0.692 | 0.059 | -0.058 |
| | p | 0.007 | 0.005 | 0.02 | 0.025 | 0.127 | 0.899 | 0.901 |
| საქონლის რეგისტრირებული იმპორტი | R | 0.569 | 0.506 | 0.881 | 0.882 | 0.68 | 0.123 | 0.837 |
| | p | 0.181 | 0.246 | 0.02 | 0.019 | 0.137 | 0.791 | 0.0187 |
| გაცვლითი კურსი დოლარი/ლარი | R | -0.824 | -0.777 | -0.883 | -0.85 | -0.716 | -0.186 | -0.629 |
| | p | 0.022 | 0.039 | 0.019 | 0.031 | 0.109 | 0.688 | 0.129 |
| გაცვლითი კურსი ევრო/ლარი | R | -0.543 | -0.535 | -0.34 | -0.381 | -0.072 | -0.175 | 0.01 |
| | p | 0.207 | 0.215 | 0.508 | 0.455 | 0.892 | 0.707 | 0.982 |

ცხრილი 20 გაგრძელება

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინფლაციის მაჩვენებელი % | R | -0.501 | -0.51 | -0.346 | -0.196 | -0.565 | -0.284 | -0.009 |
| | p | 0.251 | 0.242 | 0.501 | 0.709 | 0.242 | 0.535 | 0.984 |
